გაზეთი ზიერის. „ვერსიას" ერთი

ვერსია

№18 (1708) 26 ივნისი — 2 ივლისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ცნობილი ბიზნესმენის დიდი ოჯახური სკანდალი

როგორ ცდილობდა მეწილე ბიძაშვილი ფულოსნის გაკოტრებას და ვინ მოიპარა საიდუმლო სეიფიდან 10 ათასი

კიმ ჩენ ინის ხუთი ყველაზე დიდი საიდუმლო

როგორ შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკა, როგორ გახდა ქვეყნის მმართველი და რაზე შეუთანხმდა კიმი პუტინს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ფინანსური დარღვევები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

რა ქონებას ფლობს ლევან კობიაშვილი

დეპუტატისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაცია

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით, კვლავ უმაღლეს შეფასებას იღებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით, კვლავ უმაღლეს შეფასებას იღებს და ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2024 წლის 24 ივნისს, გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში, რომლის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების უმაღლეს საფეხურზეა და უკვე მე-9 წელია, ინარჩუნებს ადგილს ე.წ. პირველ კალათაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ მთავრობის მიერ გაძლიერდა სამართალდაცვითი ღონისძიებები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და პოზიტიურადაა შეფასებული სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის ჩადენისთვის დაწესებული სასჯელები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სპეციალიზებული დანაყოფები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებული ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო და მისი 6 მობილური ჯგუფი, ასევე, აჭარის რეგიონში მოქმედი სპეციალისტთა ჯგუფი – ე.წ. TASK FORCE, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალიზებული გამომძიებლებითა და პროკურორებით.

დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დანაყოფები ახორციელებენ ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფში მყოფი ადგილების შემოწმებას (მათ შორის, ღამის კლუბების, ბარების, კაზინოების და ა.შ.) ტრეფიკინგისა ფაქტების პროაქტიული გამოვლენის მიზნით. ანგარიშში ასევე მიმოხილულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის ინსპექციის მიერ ჩატარებული ერთობლივი ინსპექტირებები.

დოკუმენტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში ტარდებოდა სხვადასხვა კურსები პოლიციელთათვის ტრეფიკინგის საკითხებზე, აგრეთვე, მითითებულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ხორციელდებოდა გამომძიებლების, პროკურორებისა და შრომის ინსპექტორების გადამზადება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე.

ანგარიშს ტრადიციულად ახლავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით.

პოლიციამ თბილისში, ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1985 წელს დაბადებული გ.წ., ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მუხიანში, ორ მოქალაქეს თანხა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი მათ მიმართ ფიზიკურად იძალადა და ბასრი საგნის გამოყენებით, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიაყენა. სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 120-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

პოლიციამ ბათუმში, ყაჩაღობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 2000 წელს დაბადებული გ.მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 17 ივნისს, ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მყოფ მოლარე-ოპერატორს იარაღის მუქარით თანხა მოსთხოვა, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ გ.მ. ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტრეფიკინგისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, ოთხი პირი დააკავეს.

ადამიანით ვაჭრობის ბრალდებით დაკავებულები არიან წარსულში ნასამართლევი პირები: 1972 წელს დაბადებული მ.ე., 1990 წელს დაბადებული ლ.ა. და 1959 წელს დაბადებული ე.ლ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულია წარსულში ნასამართლევი, 1972 წელს დაბადებული ი.კ.

დანაშაულები 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ადამიანით ვაჭრობის გეგმა შეიმუშავეს. გეგმის სისრულეში მოყვანის მიზნით, გადაიბირეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე და სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდნენ. კერძოდ, დაზარალებულს, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით, სხვა პირებისთვის, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდნენ. ბრალდებულები ამ გზით მიღებულ თანხას კი პირადად ისაკუთრებდნენ.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი გეგმის შესახებ ცნობილი იყო ბრალდებულ ი.კ.-სთვის, თუმცა მან სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

კიმ ჩენ ინის ხუთი ყველაზე დიდი საიდუმლო

ნინო დოლიძე

ამ დღეებში მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ოკუპანტი რუსეთის დიქტატორი ლიდერის, ვლადიმერ პუტინის მსოფლიოს მეორე დიქტატორთან, კიმ ჩენ ინთან სტუმრობა გახლდათ. ისე, კრემლის მბრძანებელი ფხენიანში ბოლოს ოცი წლის წინ იმყოფებოდა. რაზე ისაუბრეს და რაზე შეთანხმდნენ დიქტატორები? – ეს სხვა საუბრის თემაა. „ვერსია“, ამჯერად, ჩრდილოეთ კორეისა და მისი სისხლიანი დიქტატორის, კიმ ჩენ ინის შესახებ გიამბობთ. მაშ ასე, როგორ შეიქმნა სახელმწიფო ჩრდილოეთ კორეა და როგორ გახდა კიმ ჩენ ინი დიქტატორი?

როგორ შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკა, როგორ გახდა ქვეყნის მმართველი და რაზე შეუთანხმდა კიმი პუტინს

ჩრდილოეთი კორეა, რომელსაც ოფიციალურად კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ჰქვია, აღმოსავლეთ აზიაში, კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. დედაქალაქი და ასევე, უდიდესი ქალაქი ფხენიანია.

დღეს კორეის ნახევარკუნძულზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოა – ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კორეის ჩრდილოეთ ნაწილი საბჭოთა კავშირმა დაიკავა, სამხრეთი კი – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შესაბამისად, კორეის ნახევარკუნძული ორ სახელმწიფოდ გაიყო. 1945 წელს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების დახმარებით, ჩრდილოეთ კორეამ მოახერხა ქვეყნიდან იაპონელების საბოლოოდ განდევნა. 1948 წლის მაისში კი, ერთიანი კორეა გაითიშა.

ჩრდილოეთ კორეას, იგივე კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩრდილოეთიდან – ჩინეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – რუსეთი, სამხრეთით კი სამხრეთ კორეის რესპუბლიკა ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით არტყამს ყვითელი ზღვა. ჩრდილოეთ კორეა, რომლის მოსახლეობაც 23 მილიონს აღემატება, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ ქვეყანად ითვლება.

1950 წელს, კორეის გაერთიანებისა და ერთი სახელმწიფოს შექმნის მიზნით, კიმ ირ სენის მეთაურობის დროს, ჩრდილო კორეამ დაიწყო ომი, რომელიც 1953 წლის 25 ივლისამდე გაგრძელდა. მიუხედავად დიდი მსხვეპრლისა, „კორეის ომს“ გამარჯვებული არ გამოუვლენია. ამის შემდეგ, ორმა კორეულმა ქვეყანამ რამდენჯერმე გააფორმა სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულება უსაფრთხოებასა და ერთმანეთთან მშვიდობიან ურთიერთობაზე. ამის მიუხედავად, ისინი დღემდე „პასიური ომის“ მდგომარეობაში არიან. არადა, მათ შორის ცხოვრების დონისა და პოლიტიკური ორიენტაციის მკვეთრი განსხვავების გამო, გაერთიანება ძალიან რთული იქნება.

1990-იან წლებში, ჩრდილოეთ კორეას დიდი შიმშილობა დაატყდა თავს. ქვეყანა იზოლირებული იყო და დახმარება არ მიუღია სხვა ქვეყნებისგან. ამ პერიოდში, ჯამში, მილიონ ადამიანზე მეტი გარდაიცვალა. ბევრი კი მხოლოდ ბალახის, ხოჭოსა და ხის ქერქის ჭამით გადარჩა. დღეს შიმშილობის ასეთი მაჩვენებელი აღარაა, მაგრამ სიტუაცია მაინც მსგავსია. ქვეყანაში სრულ ძალაუფლებას შრომითი პარტია ფლობს, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე ვაჭრობას, მრეწველობასა და ეკონომიკას. ფინანსების მთელი მარაგი სამხედრო ძალაუფლების გაძლიერებისა და ატომური პროგრამის განვითარებისკენაა მიმართული. ქვეყნის არმიაში მოსახლეობის თითქმის 10% მსახურობს.

ჩრდილოეთ კორეის მმართველები, როგორც თავად კორეელები აცხადებენ, მისი ლეგენდარული ლიდერის კიმ ირ სენის მემკვიდრეები არიან. 1964-დან 2011 წლამდე, ჩრდილოეთ კორეას მართავდა კიმ ჩენ ირი, რომელსაც მოსახლეობა ზეადამიანური სიბრძნის ფლობას მიაწერდა. 2011 წლის 17 დეკემბერს, ჩრდილოეთ კორეის ლიდერის გარდაცვალება მოსახლეობას შავებში ჩაცმულმა წამყვანმა აუწყა. კიმ ჩენ ირის დაკრძალვას ათი ათასობით ადამიანი დაესწრო. ქვეყნის ახალი მმართველი კი მისი 30 წლის ვაჟი, კიმ ჩენ ინი გახდა. მისი მმართველობის ქვეშ, ჩრდილოეთ კორეამ ახალი ბალისტიკური რაკეტები შექმნა. კიმ ჩენ ინმა საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები უფრო დაძაბა აშშ-სთან და სამხრეთ კორეასთან, მუდმივად, ბირთვული დარტყმის მუქარის გამო. კიმ ჩენი, უკვე რამდენიმე წელია, აცხადებს, რომ „სამართლიანობის წმინდა ომის“ დაწყებას არ მოერიდება არცერთ ქვეყანასთან.

ამ ქვეყნის უცნაურობა არაერთხელ დამტკიცებულა. იქ მიღებულია სიკვდილით დასჯა, ადამიანთა წამება. მაგალითად, 2016 წლის თებერვალში, კიმ ჩენ ინმა ქვეყნის სამხედრო მეთაური, კორუფციის ბრალდებით, სიკვდილით დასაჯა. ასევე, მისი მმართველობის დროს გაშუქდა სხვა რამდენიმე სიკვდილით დასჯა. მანამდე, მაღალი თანამდებობის პირების ამგვარ დასჯას არ ახმაურებდნენ. ამ ფაქტს ანალიტიკოსები იმით ხსნიდნენ, რომ ახალგაზრდა კიმ ჩენს მოსვლისთანავე სურდა ძალაუფლების განმტკიცება და ხალხის დაშინება.

ჩრდილოთ კორეის ქუჩებში, ყველაფერი 1950-იანი წლების საბჭოთა კავშირს ჰგავს. კოლმეურნეთა და ბელადთა ძეგლებით, ჩუმი ქუჩებით. აქ შემხვედრ ნებისმიერ კორეელს მკერდზე გულსაბნევი აქვს, კიმ ირ სენის გამოსახულებით. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კორეაში ახშობენ ზოგიერთ რადიო სიგნალს, რათა „დაიცვან“ მოსახლეობა საზღვარგარეთული, არასასიამოვნო გადაცემების მოსმენისგან. ინტერნეტის სარგებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ რამდენიმე დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ. დანარჩენებს წვდომა აქვთ ნაციონალურ ქსელთან – „კვანმიონი“. შესაბამისად, ამ ქსელში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გადახარისხებული ინფორმაცია აღწევს. ყველაფერი იმისთვისაა, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისები არ შეეცვალოს ჩრდ. კორეის მოსახლეობას. მათ უმრავლესობას ღრმად სწამს, რომ მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაში ცხოვრობს... ჩრდილოეთ კორეაში მობილური ტელეფონების გამოყენებაზე აკრძალვა, დაახლოებით, ათი წელია, რაც მოხსნეს. მოქალაქეები თავისუფლად ვერ გადაადგილდებიან ქალაქიდან ქალაქში. გზად მათ უწევთ სპეციალური უწყების თანამშრომლებთან გასაუბრება და ნებართვის მიღება.

2016 წლის მაისში, კინ ჩენ ინმა დროებით აკრძალა ქორწილები.

განათლება

განათლების სისტემა ჩრდილოეთ კორეაში მოიცავს სამი სახის სკოლას. ერთ ძირითად სკოლას, ხოლო

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ფინანსური დარღვევები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

მაკა რუხაძე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესახებ! ესაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა, რომელიც მთავრობის ეკონომიკური ბლოკის უმთავრეს უწყებას, ასევე მის კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სსიპ და არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს – ააიპ ეხება. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკის სამინისტროს შემოწმების დროს, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ხარვეზები გამოავლინეს მოკლევადიან დავალიანებებში, შემოსავლებში, გრანტებში, ტრანსფერებსა და სუბსიდიებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა იწყება ზოგადი ინფორმაციით – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობისა და ინვესტიციების, წარმოების, მომსახურებისა და ტურიზმის ხელშეწყობა; სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; მშენებლობის პოლიტიკის, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ხელშეწყობა; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, აკრედიტაციის, კაპიტალის ბაზრისა და ქვეყნის ბრენდის განვითარება; წიაღის მდგრადი მართვა; ენერგეტიკის დარგის განვითარება და უსაფრთხოება; სამინისტროს მართვაში არსებულ საწარმოებში აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება და სხვ.

„გარდა ამისა, COVID 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს, ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ტურიზმის ადმინისტრაციამ – საქართველოს მოქალაქეებისათვის სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიება. 2021 წელს, სავალდებულო კარანტინის ფარგლებში, მომსახურება გაეწია 43 310 მოქალაქეს. კარანტინის ფარგლებში მომსახურება მიღებულია 91 კოვიდ-სასტუმროსგან; სამინისტროს აპარატის მიერ მოსახლეობის სოციალური დახმარების – კომუნალური გადასახადების სუბსიდირების მიზნით, გაწეულია 151 538 402 ლარის ოდენობით ხარჯი; სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა გარდამავალი პირობები ბიზნესის მხარდაჭერის არსებულ პროგრამაში – საკრედიტო-საგარანტიო სქემა; გაგრძელდა სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის პროგრამა და შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობი დამატებითი მექანიზმები სარესტორნო ინდუსტრიის მიმართულებით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მმართველობაში შედის 16 სსიპ და ორი ააიპ.

ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ირიცხება მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებები 43 021 351 ლარის ოდენობით. კერძოდ, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“, ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული 13 574 630 ლარიდან, 9 993 574 ლარი წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. აღნიშნული თანხა მოიცავს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ, 2021 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საავანსო გადახდებს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დებიტორული დავალიანების დადასტურებისათვის აუდიტის ჯგუფმა წერილობით მიმართა საფინანსო ინსტიტუტებს. მიღებული პასუხების მიხედვით, დებიტორები აღიარებენ 6 603 909 ლარით ნაკლებ დავალიანებას.

„შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოკლევადიანი -მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 6 603 909 ლარის არსებობასა და სისწორეზე“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ განმარტებით, 2021 წლის ბოლოს, პანდემიის პერიოდში გართულებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, საფინანსო ინსტიტუტებმა დროულად ვერ წარადგინეს ინფორმაცია ჩამოჭრილი თანხების შესახებ, რის გამოც 2021 წლის მეორე ნახევარში ჩამოჭრილი თანხები, საააგენტოს მიერ აისახა 2022 წლის დასაწყისში.

სახელმწიფო აუდიტორებამ გაარკვიეს, რომ სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოს“ 2021 წლის 26 იანვარს, შპს „საქართველოს ფოსტის“ კაპიტალში შეტანილი აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება „ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ“ – 8 645 690 ლარის ოდენობით. „ქონების ეროვნულ სააგენტოს“ აღნიშნული მოთხოვნა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიმართ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული არ ჰქონდა. შესაბამისად, „ქონების ეროვნული სააგენტოს“ ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ მუხლი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემცირებულია 8 645 690 ლარის ოდენობით.

სსიპ „მინერალური რესურსების სააგენტოს“ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 3 467 001 ლარიდან, 200 970 ლარის დაფარვის ალბათობა დაბალია. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2017-2020 წლებში, რეგულირების საფასურის დარიცხვიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებას, რომლის ამოსაღებად სააგენტოს მიერ ქმედებები არ განხორციელებულა.

„აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ მუხლი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემცირებულია 8 645 690 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშ-

ფინანსური დარღვევები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

გებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 6 804 879 ლარის არსებობასა და სისწორეზე“.

დარღვევები შემოსავლებსა და გრანტებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები აღიარებულია უარყოფითი ნაშთით – 290 329 ლარის ოდენობით. სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ები სხვადასხვა დონორი ორგანიზაციიდან იღებენ მიზნობრივ გრანტებს. გაფორმებული მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების პირობები ითვალისწინებს თანხის ხარჯვას კონკრეტული დანიშნულებით, წლის ბოლოსთვის დარჩენილი აუთვისებელი თანხა ისევ სახაზინო ანგარიშზე რჩება ნაშთის სახით, ხოლო პირობების შეუსრულებლობისა და გრანტის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩარიცხული თანხები ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

„2021 წელს, სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ-ებმა: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, ტურიზმის ადმინისტრაციამ და საზღვაო აკადემიამ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციიდან ჩარიცხული მიზნობრივი გრანტის თანხების აღრიცხვისთვის გამოიყენა საკასო აღრიცხვის მეთოდი. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების – სსბასს 23-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივების პირობები ერთეულისგან აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის დანიშნულებისამებრ მოხმარებას, ხოლო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ტრანსფერის განმახორციელებელი ერთეულისთვის უკან დაბრუნებას მოითხოვს“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ მიზნობრივი გრანტების აღრიცხვისთვის საკასო მეთოდის გამოყენება არ შეესაბამება სსბასს 23-ის მოთხოვნებს და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად უარყოფითი ნაშთით აღიარებული შემოსავლისა – 290 329 ლარის ოდენობით, აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები – 682 621 ლარის ოდენობით. მეტიც, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს მიზნობრივი გრანტის გაუხარჯავი ფულის ნაშთის შესაბამისი ვალდებულება, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 174 202 ლარს.

„შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „შემოსავლები გრანტებით“ შემცირებულია 972 950 ლარით, ხოლო „სხვა მოკლევადიანი – მიმდინარე ვალდებულებების“ მუხლი – 174 202 ლარის ოდენობით“.

დარღვევები ტრანსფერებსა და სუბსიდიებში

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ეკონომიკისა და მდგრაფი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წელს, აღრიცხულია 337 812 362 ლარის გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების ხარჯი, საიდანაც სამინისტროს აპარატის მიერ, 2021 წელს, ანაზღაურებულია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება, სულ – 10 091 661 ლარი. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (აბონენტებს) 2020 წლის 1 დეკემბრიდან, 2021 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2021 წლის 15 ოქტომბრიდან, 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში.

„2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, სამინისტრო თანხებს ანაზღაურებს ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების მიერ დამოწმებული ანგარიშების გადამოწმების ვალდებულება სამინისტროს არ აქვს. მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის საკითხზე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება სააგენტოს 5 დღის ვადაში“.

აუდიტის მიმდინარეობისას, ანაზღაურებული თანხების სისწორის, სისრულისა და წარმოშობის დასადასტურებლად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ აუდიტორებმა გამოითხოვეს ინფორმაცია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების შესახებ. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 10 091 661 ლარის ხარჯიდან – 2 422 567 ლარი ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ბაზაში არ აქვთ მუდმივად მცხოვრების სტატუსი.

„აღსანიშნავია, რომ მუდმივად მცხოვრების სტატუსის არმქონე პირებზე თანხები გადაირიცხა 2020 წელსაც, რაც განხილულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში. ამასთან, აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, 2021 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ მუხლში აღრიცხული 2 422 567 ლარის წარმოშობისა და სიზუსტის შესახებ. გარდა ამისა, ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობა წარმოშობს თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ინოვაციების სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 13 318 567 ლარის გრანტებისა და სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 7 851 631 ლარის ისეთ დანახარჯებს, რომელთა აღრიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებთან. შედეგად, ინოვაციების სააგენტოს 2021 წლის „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიის“ ხარჯი 7 851 631 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთან, 2021 წლის ხარჯებში აღრიცხული 7 851 631 ლარი საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიკაციას.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 134 767 029 ლარის ხარჯი შემცირებულია 169 710 ლარით, რაც წარმოადგენს მონიტორინგის შედეგად, წინა საანგარიშგებო პერიოდებში, სხვადასხვა კომპანიაზე აღიარებული გრანტის ხარჯების უკუგატარებას – შეცდომის გასწორებას.

„ეს ქმედება არ შეესაბამება სსბასს 3-ის მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვით შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად; გარდა ამისა, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დებიტორული დავალიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება აღნიშნული სსიპ-ის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წელს „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 134 767 029 ლარის სისრულისა და სისწორის შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლის სისრულისა და სისწორის შესახებ“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

რა ქონებას ფლობს ლევან კობიაშვილი

მაკა რუხაძე

დეპუტატისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაცია

„მინდა, სრულიად საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე პირველი თამაში მივულოცო. ჩვენი ქვეყნის დროშა აღიმართა და საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. ეს იყო დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენი ოცნება, ამიტომ ეს დღე საკმაოდ ემოციური გამოვიდა. ძალიან სასიამოვნო იყო ის ყველაფერი, რაც დორტმუნდში ხდებოდა. ამისთვის ნამდვილად ღირდა ცხოვრება. ამაყი ვარ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი გუნდი გვყავს, რომელმაც მოედანზე ყველაფერი გააკეთა. თუმცა, უცნაური გრძნობაა, ერთი მხრივ, ის სიამაყე, რასაც ჩვენი გუნდის თამაშით ვგრძნობდით და, მეორე მხრივ, წაგებით გულდაწყვეტილები ვიყავით“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა. საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვენი ემოგრანტების ყურადღება ახლა გერმანიისკენაა მიმართული, რომელიც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრები კი ამ ჩემპიონტის დებიუტანტია და ცხადია, ჩვენს ბიჭებს – ჩვენს ლომებსა და არწივებს მთელი მსოფლიო გამადიდებელი შუშით აკვირდება. რა კარგად ასპარეზობენ და როგორ გვასახელეს, ეს „ვერსიის“ სპორტის გვერდში წაიკითხეთ, მანამდე კი „ქართული ოცნების“ დეპუტატისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლევან კობიაშვილის ქონებრივი დეკლარაცია განვიხილოთ, ოღონდ ჯერ მისი შთამბეჭდავი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

დეპუტატის ბიოგრაფია

პოლიტიკოსი და სპორტსმენი ლევან კობიაშვილი 1977 წლის 10 ივლისს, თბილისში დაიბადა. 1993-1994 წლებში, საფეხბურთო კლუბში „გორდა“ თამაშობდა; 1994 წელს – საქართველოს 19-წლამდე ასაკის ეროვნულ ნაკრებში; 1995-1998 წწ. – საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისში“; 1995 წელს – საქართველოს 21-წლამდე ეროვნულ ნაკრებში; 1997 წელს – საფეხბურთო კლუბ „ალანიაში“; 1996-2011 წწ. – საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში რეკორდული, 100 მატჩი ჩაატარა; 1998-2003 წწ. – საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგშია“; 2003-2010 წწ. – საფეხბურთო კლუბში „შალკე“; 2010-2014 წწ. – ბერლინის საფეხბურთო კლუბში „ჰერტა“; 2014 წელს – გერმანიის სპორტის მენეჯმენტის აკადემიაში გაიარა მენეჯმენტის სრული სასწავლო კურსი; იმავე წელს იყო ბერლინის საფეხბურთო კლუბის „ჰერტა“ აკადემიის მენეჯერი; 2015 წელს იყო ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“ ოლიმპიური სოფლის მერი; 2015 წლიდან – „2017 – გერმანია-საქართველოს მეგობრობის წელი“ სამუშაო ჯგუფის წევრია; 2015 წლიდან – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია; 2016-2020 წწ. – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“; 2020 წ. – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

კობიაშვილის ქონება

მონიტორინგის ცენტრის – „მედიატორი“ კვლევის თანახმად, ლევან კობიაშვილის უძრავ-მოძრავი ქონება 9 829 530 ლარად არის შეფასებული. თუმცა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ, 2023 წლის 31 დეკემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მილიონერი კობიაშვილის საკუთრებაშია თბილისში, 2005 წელს შეძენილი 24 კვ.მ. ფართობის ავტოფარეხი, ასევე მიწის ნაკვეთები – წყნეთსა და ბაკურიანში, შესაბამისად – 1 900 და 2 950 კვ.მ. გარდა ამისა, კობიაშვილის საკუთრებაშია წყნეთში აშენებული 450 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი.

წყნეთის გარდა, ლევან კობიაშვილი ბერლინში, 550 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელ სახლსა და 770 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნახევარს ფლობს. ამავე მიწის ნაკვეთის მეორე ნახევარს კობიაშვილის მეუღლე ფლობს.

ლევან კობიაშვილმა 2023 წლის მონაცემებით, გერმანიაში მუშაობიდან და საცხოვრებელი სახლის გაყიდვიდან 40 000 ევრო მიიღო. ასევე, გაყიდული ბინიდან პარლამენტის წევრმა 52 000 აშშ დოლარი და 35 000 ლარი მიიღო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, როგორც პარლამენტის დეპუტატის წლიური ხელფასი 2022 წელს, 41 266 ლარი ყოფილა.

მასვე, ბაზის ბანკის მიმდინარე ანგარიშზე 778.49 ლარი და 822 ევრო, ხოლო თიბისი ბანკის ანგარიშზე – 539.54 ლარი ჰქონია.

ლევან კობიაშვილის მეუღლემ, 2020 წელს, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში, 110 კვ.მ. ბინა 945 000 ევროდ შეიძინა. 2020 წელსვე, 19 000 ევროდ შეუძენია 2013-წლიანი „მერსედეს ბენცის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა.

კიმ ჩენ ინის ხუთი ყველაზე დიდი საიდუმლო

მე-3 გვერდიდან

ორ – დამატებითს, რომელთა არჩევაც ხდება სკოლის დამთავრების შემდეგ. მოსწავლეები ან აგრძელებენ სწავლას უმაღლესი განათლებისთვის, ან ირჩევენ პროფ-სასწავლებელს. ძირითადი სკოლა მოიცავს ბაღს და სწავლას მე-10 კლასამდე. ბაღი შედგება 1 კლასისგან, შესაბამისად, ძირითადი სკოლის დასამთავრებლად, ბავშვი სწავლობს 11 წელი. სწავლების პერიოდები იყოფა სამ ნაწილად. პირველი ერთი წელი არის ბაღი, ოთხი წელი – დაწყებითი, შემდეგი ექვსი წელი კი საშუალო სკოლა. უმაღლესი სასწავლებელი შედგება ოთხი ან ექვსწლიანი სასწავლო კურსებისგან, რაც დამოკიდებულია იმაზე, რომელ განხრას აირჩევს მოსწავლე. 30-იდან 34 წლამდე მოსახლეობის 77-79 %-ს დამთავრებული აქვს საშუალო სკოლა. ქვეყანაში არის 300 უნივერსიტეტი და კოლეჯი. ყველაზე პრესტიჟული – კიმ იონგ სანგის უნივერსიტეტია. უმეტესობა სკოლადამთავრებულებისა, არ აბარებს უნივერსიტეტში და პირდაპირ ერთვება სავალდებული სამხედრო სამსახურში, ან იწყებს მუშაობას ფერმასა და ქარხნებში.

რელიგია

ჩრდილოეთ კორეის კონსტიტუციის მიხედვით, რელიგიის თავისუფლება დაცულია და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება, თუმცა პრაქტიკაში სულ სხვა სურათია. ჩრდილოეთ კორეა, უმეტესწილად, ათეისტური ქვეყანაა. მთავრობა მუდმივად ხელს უშლის ადამიანებს, აირჩიონ და იცხოვრონ თავიანთი რელიგიური შეხედულებების მიხედვით. რეჟიმი გამუდმებით ახშობს რელიგიის გამოვლინებებს.

ცხოვრება

ჩრდილოეთ კორეელთა დოკუმენტებისა და ლტოლვილთა მონაყოლის თანახმად, ყველა ჩრდილო კორეელი დაყოფილია ჯგუფებად. თითოეულ ადამიანზე არის შედგენილი ინფორმაცია – „სონგბანი“, სადაც წერია თითოეული პერსონის ისტორია, როგორია მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წარსული, სამი თაობის განმავლობაში, როგორი მოქალაქეები იყვნენ მისი წინაპრები, იყვნენ თუ არა რევოლუციონერები და წინააღმდეგნი კომუნისტური წყობილებისა. შემდეგ „სონგბანით“ განისაზღვრება, რამდენად სანდოა ადამიანი, რა სამსახურში უნდა იყოს და ისიც კი, რას ჭამს.

„სონგბანს“ უარყოფითი ეფექტი აქვს განათლების და დასაქმების შესაძლებლობებზე. „სონგბანს“ გააჩნია სამი კლასიფიკაცია და დაახლოებით, 50 ქვეკლასიფიკაცია. ძირითადი, ერთგული კლასი შეადგენს მოსახლეობის 25%-ს, კლასი, რომელიც ორჭოფობს, არის 55 %, ხოლო მტრების კლასი მოსახლეობის 20%-ს შეადგენს. ყველაზე დაფასებულ კლასს შეადგენენ ის ადამიანები, რომლებიც კიმ სანგის მხარდამხარ იბრძოდნენ იაპონიის ოკუპაციის წინააღმდეგ და რომლებიც იმ დროს შეადგენდნენ მუშათა კლასს. თუმცა, ჩრდილოეთ კორეის მთავრობა ყოველგვარ კლასობრივ დაყოფასა და დისკრიმინაციას უარყოფს.

ქვეყანაში ინფორმაცია გამუდმებით იფილტრება. არ არსებობს თავისუფალი პრესა და ტელევიზია. ჩრდილოეთ კორეის ინფორმაციის საშუალებები, ძირითადად, დატვირთულია პროპაგანდისტული შინაარსით. იქ აკრძალულია უცხოური ტელეარხებისა და რადიოს მოსმენა, რაც ციხით ისჯება...

კიმ ჩენ ინი

13 წელია, ჩრდილოეთ კორეაში ძალაუფლება კიმ ჩენ ინმა აიღო – კიმ ჩენ ინის მამა, ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის მეთაური, დიქტატორი კიმ ჩენ ირი, 2011 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა.

საინტერესოა, რომ კიმ ჩენ ინის დაბადების წელი ოფიციალურად არ არის ცნობილი ანუ სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ის 1982, 1983 ან 1984 წლის 8 იანვარს დაიბადა.

ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ გამოუცდელი კიმ ჩენ ინის სათავეში მოსვლა შეასუსტებდა ტოტალიტარულ რეჟიმს, მაგრამ როგორც ჩანს, ახალგაზრდა დიქტატორმა არა მხოლოდ გაიმყარა თავისი პოზიციები, არამედ, ქვეყანაში წამოიწყო პიროვნების განდიდებაზე დაფუძნებული ახალი ერა – „კიმ ჩენ ინიზმი“.

მმართველობის პირველ წლებში, კიმ ჩენ ინმა ოპონენტების ჩამოშორება დაიწყო, რისთვისაც მან ასობით ადამიანის სიკვდილის დასჯის გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი. მოგვიანებით, მან ყურადღება საგარეო საკითხებს მიაპყრო, რომლის ცენტრალურ თემას ბირთვული იარაღის დამზადება და გამალებული მილიტარიზაცია წარმოადგენდა.

ფხენიანის ბირთვული არსენალის გაფართოების დაუოკებელი წყურვილი ქვეყანას ძვირად დაუჯდა. ის ამჟამად მასშტაბური სანქციების ქვეშ იყოფება. ჩრდილოეთ კორეა ახლა უფრო ღრმა კრიზისში, ღატაკი და იზოლირებულია, ვიდრე კიმ ჩენ ინის მმართველობის დასაწყისში იყო.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კიმ ჩენ ინმა შეინარჩუნა აბსოლუტური მმართველობა იზოლირებულ ქვეყანაზე, მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი ბირთვული არსენალი და გახდა პირველი მმართველი, რომელმაც სამიტი გამართა აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტთან.

მმართველობის დასაწყისში, კიმ ჩენ ინმა სასტიკი რეპრესიები მოუწყო თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა ძალაუფლების ჟინით შეპყრობილი დიქტატორის მრისხანებას, მათ შორის, ერთ დროს დიდი გავლენის მქონე მისივე ბიძა.

ხელისუფლებაზე აბსოლუტური კონტროლის დამყარების შემდეგ, კიმ ჩენ ინმა გააფართოვა წინა მმართველთა ბირთვული ამბიციები და ქვეყნის ისედაც მწირი რესურსები მთლიანად ბირთვული არსენალის გაფართოებისკენ მიმართა. დიქტატორი მიზნად ისახავდა ისეთი ბირთვული რაკეტის დამზადებას, რომელიც აშშ-ის მატერიკამდე შეძლებდა მიღწევას.

2016-2017 წლებში, ჩრდილოეთ კორეამ მიაღწია დასახულ მიზანს, შეექმნა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები, თუმცა ამან ქვეყანა გაერო-ს უმკაცრესი სანქციების ქვეშ მოაქცია, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია.

დასასრული მე-8 გვერდზე

კიმ ჩენ ინის ხუთი ყველაზე დიდი საიდუმლო

2018 წლის 12 ივნისს, სინგაპურში გაიმართა ისტორიული შეხვედა, ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინსა და აშშ-ის პრეზიდენტ დოლანდ ტრამპს შორის.

2018-2019 წლებში, კიმი სამჯერ შეხვდა დონალდ ტრამპს და გამართა სამიტები მსოფლიოს სხვა ლიდერთან, მათ შორის, სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან, ჩინეთისა და რუსეთის ლიდერებთან. ამ შეხვედრებმა კიმს მისცა დიპლომატიური ლეგიტიმაცია, რომელიც მის მთავრობას დიდი ხანია სურდა.

2018 წელს, კიმ ჩენ ინმა მიიღო ყველასთვის მოულოდნელი შემრიგებლური გადაწყვეტილება, როდესაც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც სამხრეთ კორეაში იმართებოდა, დელეგაცია გააგზავნა.

2018 წლის 27 აპრილს, კორეის გაყოფიდან 65 წლის გასვლის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი სამხრეთ კორეაში პირველად ჩავიდა. კიმ ჩენ ინი ჩრდილოეთ კორეის პირველი ლიდერია, რომელმაც დემილიტარიზებული საზღვარი გადაკვეთა და სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე, პრეზიდენტ მუნ ჯეი ინს შეხვდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების დარეგულირების მცდელობის ფონზე, ჩრდილოეთ კორეამ დახურა ბირთვული საცდელი პოლიგონები, გაათავისუფლა დაკავებული ამერიკელები, სანაცვლოდ, ვაშინგტონმა და სეულმა შეაჩერეს ან გააუქმეს დაგეგმილი ერთობლივი წვრთნები.

2018 წლის 27 მარტს, პეკინში გაიმართა შეხვედრა კიმ ჩენ ინსა და ჩინეთის ლიდერ სი ძინპინს შორის.

2019 წლის 25 აპრილს, კიმ ჩენი ინი და რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ვლადივოსტოკში შეხვდნენ.

საბოლოოდ, 2019 წელს, ტრამპისა და კიმ ჩენ ინის დიპლომატიამ კრახი განიცადა, სანქციებზე უთანხმოების გამო.

2020 წლის დასაწყისიდან, კიმმა კორონავირუსის გავრცელების აღსაკვეთად, მთლიანად ჩაკეტა საზღვრები, რომელმაც ისედაც ძირგამოთხრილი ეკონომიკა, მიწასთან გაასწორა. მწვავე ეკონომიკური პრობლემა თავად დიქტატორმაც აღიარა და განაცხადა, რომ ქვეყნა თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოწვევის წინაშე დგას. არსებული მდგომარეობა მან 1990-იანი წლების შიმშილობას შეადარა, როდესაც ათობით ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

ამ დროისთვის არ არსებობს არავითარი ნიშან-წყალი იმისა, რომ კიმ ჩენ ინი დაუბრუნდება მოლაპარაკებებს შეერთებულ შტატებთან. ის არაერთხელ გამოვიდა გაფრთხილებით, რომ გააძლიერებს თავის ბირთვულ და სარაკეტო არსენალს, თუ ვაშინგტონი არ შეწყვეტს მტრობას ფხენიანის წინააღმდეგ.

5 ყველაზე დიდი იდუმალებით მოცული ამბავი კიმ ჩენ ინზე

როდის დაიბადა კიმ ჩენ ინი – „ზუსტად არავინ იცის, 1982, 1983, ან შესაძლოა, 1984 წელს“, – განაცხადა ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა და ჩრდ. კორეის სპეციალისტმა, ედვარდ ჰაუელმა.

8 იანვარი – კიმ ჩენ ინის დაბადების დღეა, დიდი ალბათობით, თუმცა ამ დღეს ქვეყანაში არაფერი ხდება, ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. სამაგიეროდ, კიმის მამის დაბადების დღე – 16 თებერვალი ჩრდილოეთ კორეაში ნამდვილი დღესასწაულია ისევე, როგორც 15 აპრილს – კიმის ბაბუის.

რაც შეეხებათ მის ნათესავებს, კიმს ჰყავს ნახევარძმები, რომელთაგან ერთ-ერთი, 2017 წელს, მალაიზიაში მოკლეს.

ვინ არის კიმ ჩენ ინის ცოლი – დიდი ალბათობით, რი სოლ ჩჟუმ და კიმმა 2009 წელს იქორწინეს, მაგრამ ეს საკითხი ასევე ბურუსით არის მოცული.

როგორც ცნობილია, ის ყოფილი მომღერალია და მომავალი მეუღლის ყურადღება, სწორედ ერთ-ერთი გამოსვლის დროს მიიპყრო.

არსებობს ვარაუდი, რომ რი სოლ ჩჟუ, ჩრდ კორეას 2005 წელს, აზიის ჩემპიონატის ფარგლებში ესტუმრა, სადაც მსუბუქი ათლეტიკის გამოსვლაში მონაწილეობდა, თუმცა ეს ინფორმაციაც დაუზუსტებელია და ვარაუდებზეა დაყრდნობილი.

რამდენი შვილი ჰყავს კიმ ჩენ ინს – კიმი საზოგადოებაში კიმ ჩჟუ ესთან ერთად ჩნდება ხოლმე, თუმცა მას კიდევ ჰყავს შვილები, რომელთა შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი.

სავარუდო ინფორმაციით, ორი შვილი კიმს 2010 და 2013 წლებში შეეძინა, თუმცა არც მათი სქესი და არც სხვა დეტალი ცნობილი არ არის.

არსებობს ვარაუდი, რომ სწორედ კიმ ჩჟუ ეს ამზადებს ის ჩრდ. კორეის მომავალ მმართველად.

როგორ ცხოვრობს კიმ ჩენ ინი ფუფუნებაში, როდესაც ქვეყანაში უკიდურესი სიღატაკეა – ჩრდ. კორეის ლიდერი ხშირად იყენებს ძვირადღირებულ ტრანსპორტს გადაადგილებისთვის.

ქვეყანა მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობს გაერო-სა და დასავლეთის მკაცრი სანქციების ქვეშ, ფხენიანის მიერ, ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების შემუშავების გამო.

ჰოუელის თქმით, კიმ ჩენ ინი ყველაფერს სანქციების გვერდის ავლით აკეთებს: **„ქვეყანაში არის ფონდი, რომელიც სპეციალურად არის განკუთვნილი რეჟიმის გამოსაყენებლად. კიმს სურს შეინარჩუნოს ეს ფონდი, რადგან უნდა, რომ მან და მისმა ოჯახმა მდიდრული ცხოვრების წესით სარგებლობა განაგრძოს“,** – განაცხადა ჰოუელმა.

„ხალხი ხშირად ფიქრობს, რომ ჩრდილოეთ კორეა იზოლირებული ქვეყანაა ინტერნეტის გარეშე, მაგრამ ჩრდილოეთ კორეას აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინტერნეტი და კიბერ-ომი გახდა მნიშვნელოვანი სტრატეგია: კიმის რეჟიმი სხვა ქვეყნების კომპიუტერულ სისტემებს არღვევს, რათა მოიპაროს ფული მისი ეკონომიკისა და ბირთვული პროგრამის მხარდასაჭერად“, – ამტკიცებს დოქტორი.

ზრუნავს თუ არა კიმ ჩენ ინი თავის ხალხზე – 2020 წლის სამხედრო აღლუმის გამოსვლამ გვაჩვენა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის განსხვავებული მხარე.

მან მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს პანდემიასთან და სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში გაწეული ძალისხმევისთვის. ქვეყნის სიძნელეებზე საუბრისას კი ცრემლები მოიწმინდა. ეს კიმ ჩენ ინის ემოციების იშვიათი ჩვენებაა.

ზოგიერთი დამკვირვებელი ვარაუდობს, რომ ის შესაძლოა, თავმდაბლობის გამოვლენას ცდილობს, რადგან ქვეყანა მზარდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დგას.

პუტინი და კიმი

როგორც აღვნიშნეთ, 24-წლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, პუტინი ჩრდილოეთ კორეაში ჩავიდა. რაზე შეთანხმდა ორი დიქტატორი?

გავრცელებული ცნობით, ფხენიანში რუსეთის პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრაზე ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი უკრაინასთან ომში ვლადიმერ პუტინს სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა. ამ შეხვედრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ აფასებს ჩრდილოეთ კორეის მტკიცე მხარდაჭერას უკრაინაში ე.წ. რუსული სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას.

ასევე, ორი ქვეყნის ლიდერმა გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს სამხედრო მხარდაჭერას თავდასხმის შემთხვევაში. კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებით, ჩრდილოეთ კორეისა და რუსეთის ურთიერთობები ფაქტობრივად ალიანსში გადაიზარდა.

შეგახსენებთ: ბირთვული იარაღისა და სარაკეტო პროგრამების გამო ჩრდილოეთ კორეისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მძიმე ეკონომიკური სანქციები აქვს დაკისრებული. უკრაინაში ომის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის გამო კი რუსეთზე მეორე წელია, ვრცელდება დასავლეთის სანქციები.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ თქვენს თანმიმდევრულ და უცვლელ მხარდაჭერას რუსეთის პოლიტიკის მიმართ, მათ შორის, უკრაინის მიმართ. გმადლობთ, რომ გვიერთდებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი სატელიტების იმპერიალისტური ჰეგემონური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში“, – უთხრა პუტინმა კიმ ჩენ ინს.

ფხენიანში ვიზიტისას, პუტინმა ასევე თქვა, რომ რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა შეიმუშავებენ სავაჭრო გადახდის ახალ სისტემას, რომელსაც დასავლეთი ვერ გააკონტროლებს. რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებით, ამ ნაბიჯით, ისინი ორი ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ შეზღუდვებს დაუპირისპირდებიან. პუტინმა თქვა, რომ ქვეყნები ასევე გააფართოებენ თანამშრომლობას ტურიზმის, კულტურისა და განათლების სფეროებში.

„კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აფასებს იმ როლსა და მისიას, რომელსაც ძლიერი რუსეთის ფედერაცია ემსახურება მსოფლიოს სტრატეგიული სტაბილურობისა და ბალანსის შესანარჩუნებლად. ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ რუსეთის მთავრობის მიერ, უკრაინაში განხორციელებულ სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“, – თქვა კიმ ჩენ ინმა.

პუტინმა და კიმ ჩენ ინმა საჩუქრებიც გაცვალეს. რუსეთის პრეზიდენტმა ჩრდილოეთ კორეის ლიდერს უკვე მეორედ აჩუქა „აურუსის“ მანქანა. რუსეთის ლიდერი ჩრდილოეთ კორეის შემდეგ, 20 ივნისს, ვიეტნამში გაემგზავრება.

სამართალი

№18 26 ივნისი 2024 წ

ცნობილი ბიზნესმენის დიდი ოჯახური სკანდალი

როგორ ცდილობდა მეწილე ბიძაშვილი ფულოსნის გაკოტრებას და ვინ მოიპარა საიდუმლო სეიფიდან 10 ათასი

ბათო ჯაფარიძე

ადრეც იყო და ახლაც არის – თუ რომელიმე უწყებაში ახლობელი, ნათესავი მუშაობს, შეგიძლია, „ჯიგრულ, ქართულ პონტში“ რაღაც სთხოვო, რაღაც გააკეთებინო ისე, რომ ოფიციალური სახე არ ჰქონდეს და მხოლოდ შენთვის იცოდე.

გამოცდილ გამომძიებელთან მეგობარი ბიზნესმენი მივიდა და თავისი გასაჭირის შესახებ მოუყვა. რა თქმა უნდა, მეგობარს საქმე ოფიციალურად არ უნდა აღეძრა.

„კი იცი შენ, ცოლი წლების წინ დამეღუპა და ახლა ახალგაზრდა გოგო მყავს ცოლად, ცოტა შტერია, მაგრამ ერთგული და ისეთი, ტვინს რომ არ ბურღავს. ჩემი ბიჭი 24 წლისაა, ისიც მიეჩვია დედინაცვალს, არ აპროტესტებს, მალე ცოლს მოიყვანს და თავის ბინაში გადავა. კიდევ, ჩემთან ცხოვრობდა ბიძაშვილი, მამაჩემის ძმისშვილი, რომელიც ობოლი იყო და როცა სული მოვითქვი, ჩამოვიყვანე, ბიზნესი ვასწავლე და ფეხზე დავაყენე. ახლა მას ყველაფერი აქვს. ჰოდა, ორი დღის წინ, მაშინ, როცა სამსახურში წავედი, გზაში გამახსენდა, რომ სეიფის კარი ღია დამხვდა. მაშინვე უკან დავბრუნდი, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები მიდევს იქ, ჩემს კონკურენტებს რომ ჩაუვარდეთ, მთელ სქემას გაშიფრავენ, მიხვდებიან, რის გამო ვარ წარმატებული და გამაკოტრებენ. ცოლი იყო სახლში, ლოგინში დავტოვე და რომ მოვედი, ისევ იქ იწვა, შვილიც სახლში იყო, სამზარეულოში საუზმობდა და რომ დავბრუნდი, უკვე აბაზანაში იყო, შხაპს იღებდა. სამაგიეროდ, სამზარეულოში დამხვდა ბიძაშვილი, ის, ჩემი გაზრდილი და დაფრთიანებული. ისიც საუზმობდა, ხშირად ხდებოდა ასე. მაშინვე სამუშაო კაბინეტს და სეიფს ვეცი, ყველაფერი ადგილზე დამხვდა, გამეხარდა, ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთი ადამიანები მყავს გარშემო, თუმცა შემდეგ, ბიძაშვილმა გული დამწყვიტა. ჩვენ საერთო ბიზნესი გვაქვს და იმ ბიზნესიდან გასვლა სურს. ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ რა გავაკეთო? სხვა ბიზნესებიც აქვს დამოუკიდებლად და სულ დამოუკიდებელი მინდა ვიყოო. დავთანხმდი და დავიწყებთ პროცესს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არაა. მთავარი ის გახლავთ, რომ სეიფში ფულიც მედო და მე ანგარიში არასდროს მეშლება. საღამოს, როცა სეიფი გავაღე, 50-ლარიანების ორი ცალი შეკვრა აღარ დამხვდა ანუ სულ 10 ათასი ლარი. დარწმუნებული ვარ, ფული მაშინაც არ იყო, უკან რომ დავბრუნდი, მაგრამ დოკუმენტების დანახვამ ისე გამახარა, ყურადღება აღარ მივაქციე. სეიფის გასაღები მარტო მე მაქვს, კოდი მარტო მე ვიცი და გამოდის, რომ იმ სამიდან, თანხა ერთ-ერთმა აიღო. ჩემი აზრი ასეთია – ცოლი არ აიღებდა, რომ ეთხოვა, არც ვკითხავდი, ისე მივცემდი და მან ეს იცის. უთხოვია, მიმიცია და ორი ან სამი თვის შემდეგ უთქვამს, ესა და ეს ვიყიდეო, ან არ უთქვამს. მოკლედ, მას ბრმად ვენდობი. ბიძაშვილი არ აიღებდა იმიტომ, რომ 10 ათასი ლარი მისთვის ფული არ არის, არ იკადრებდა, რომ ვთხოვო, 10 კი არა, 100 ათასი მომეცი-მეთქი, მომცემს და არასდროს მომთხოვს. არც შვილი აიღებდა, რადგან არასდროს ყოფილა ფულზე გადარეული, ის უფრო სწავლაზე ფიქრობს და მგონია, რომ მისგან კარგი მეცნიერი დდგება. მანქანაც კი არ ჰყავს, არასდროს ჰქონია ინტერესი და თანაც, მის ანგარიშზე, ახლაც 50 ათას ლარამდეა, მე ვუვსებ ხოლმე ყოველთვიურად და ბოლომდე არასდროს ხარჯავს. ეს 50 ათასიც მთელი წლის ნაშთია ანუ არ სჭირდება, არ იყენებს და როცა 50 ათასი გაქვს ანგარიშზე, რატომ უნდა მოიპარო 10 ათასი? ბუღალტერს გადავამოწმებინე ანგარიში, ყოველი შემთხვევისთვის, ვამოწმებინებ ხოლმე ორ კვირაში ერთხელ. ჰოდა, მიშველე, საჩივარს ვერ დავწერ, მაგრამ სამიდან რომელიღაცამ უკადრებელი იკადრა და მე უნდა ვიცოდე, ვინ“, – ამბობდა ბიზნესმენი.

საქმე საკმაოდ რთული ჩანდა, მაგრამ გამომძიებელი დაპირდა, რომ გაერკვეოდა და საამისოდ ხარჯების გაღება იქნებოდა საჭირო, რადგან სამივესთვის უნდა ეთვალთვალათ და სამივე ოპერს, არასამსახურეობრივი დავალების შესრულების გამო, გარკვეული კომპენსაცია დასჭირდებოდა. ბიზნესმენმა მაგიდაზე 10 ათასი ლარი დადო და დააყოლა, ორ ამდენს კიდევ გადავიხდი, ოღონდ სიმართლე გავიგოო. პროცესი და თვალთვალი მაშინვე დაიწყო. სამი დღის შემდეგ, ოპერებმა ხელმძღვანელს პირველი პატაკი ჩააბარეს.

„ბიძაშვილი თითქოს ჩვეულებრივად იქცევა, მაგრამ ის ორჯერ შეხვდა დაზარალებულის კონკურენტებს და მათთან გაცხარებული საუბარი ჰქონდა. რაზე საუბრობდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ რომ ხვდება, ფაქტია. ცოლი ჩვეულებრივად იქცევა, ან სახლშია და სძინავს, ან საყიდლებზე დადის, ან ერთ დაქალს ხვდება მუდმივად ერთ კაფეში და ყავით იჭყიპებიან. ბიჭი კი, სასწავლებელშია მუდმივად, მაგრამ აშკარად რაღაც პრობლემა აქვს, რადგან სასწავლებლიდან გამოსულს, ახალგაზრდა ქალი ხვდება და კი არ ესაუბრება, პატარა ბავშვივით ტუქსავს და ესეც იძულებულია, თავდახრილმა მოითმინოს და აიტანოს ყველაფერი“, – წერდნენ ოპერები.

ბიზნესმენი ყველაზე მეტად ბიძაშვილის კონკურენტებთან შეხვედრის ამბავმა დააინტერესა. როგორც წესი, მის გარეშე არავის ხვდებოდა და მით უმეტეს, ხალხს, რომლებიც არა მხოლოდ კონკურენტები, არამედ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მტრები იყვნენ. ამიტომ, ბიძაშვილის თვალთვალის გაგრძელება მოითხოვა, ცოლს და შვილს კი შეეშვითო, მაგრამ სამართალდამცავები ისევ სამივეს თვალთვალს აგრძელებდნენ. ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდა, როგორც წინა დღეებში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბიძაშვილი კონკურენტებს ამჯერად რაღაც ფურცლებით ეახლა და მათ აჩვენა, ხოლო შვილმა იმ გოგოს, რომელიც „ტუქსავდა“, 50-ლარიანების შეკვრა გადასცა, თუმცა ქალმა თითი დაუქნია, თითქოს ყველაფერ ამით უკმაყოფილო იყო. საჭირო გახლდათ მოქმედება და როცა ბიზნესმენს მორიგი შედეგების შესახებ მოახსენეს, მან თავში ხელი შემოირტყა.

„მგონი, ვიღუპები. სახლში ქსეროქსი მაქვს და ხომ შეიძლებოდა, ჩემს ბიძაშვილს ის დოკუმენტები, უბრალოდ, დაექსეროქსებინა და ასლები წაეღო? ამ ასლებშიც კი, არანორმალურად დიდ თანხას გადაიხდიან და ახლა ვხვდები, რატომ მოითხოვა სასწრაფო წესით ბიზნესიდან გასვლა. მას ამ ბიზნესის აღარ სჯერა, რადგან იცის, რომ გამაკოტრებენ და პარალელურად, ჩემგან წილის ფულს მიიღებს, შემდეგ კი, დოკუმენტებსაც გაყიდის და იმაზე მეტს მათი გაყიდვით იშოვის. აი, შვილმა რატომ გადასცა ფული იმ ვიღაც გოგოს, არ ვიცი, მით უმეტეს, ბუღალტერმა გადაამოწმა და ანგარიშიდან ერთი თეთრიც არ მოუხსნია“, – განაცხადა ბიზნესმენმა.

მან გადაწყვიტა, პირველ რიგში, შვილს დალაპარაკებოდა და სიმართლეც გაიგო.

„ზუსტად ვიცი, რომ ჩემს თანხებს შენი ბუღალტერი ამოწმებდა და ამაზე პრობლემა არასდროს მქონია, არ ვხარჯავდი ისე და იმდენს, კითხვები რომ გაგჩენოდა. ცოტა ხნის წინ, კურსელები წვეულებაზე წავედით, რატომღაც ბევრი დავლიე და რომ გავიღვიძე, ვიღაც გოგოს გვერდით მეძინა. ორ კვირაში მომადგა ეს გოგო, შენგან ორსულად ვარო და მითხრა, თუ 10 ათასს არ მომცემ, ამ ამბავს გავახმაურებ და მომავალი ქორწილი ჩაგეშლებაო. ვიწუწუნე ფულზე, მაგრამ რა უნდა მექნა? ანგარიშიდან 10 ათასი ლარის მოხსნა კითხვებს გამოიწვევდა, ამიტომ ვიფიქრე, ვიფიქრე და... იმ დღეს, შენი სეიფის კარი დავინახე ღია და ფული ავიღე. შენი ბიძაშვილიც სახლში იყო, მაგრამ ის გვერდით ოთახში რაღაცას აქსეროქსებდა და ჩემთვის არ ეცალა. მერე აბაზანააში შევედი“, – თქვა შვილმა და მამამაც შვებით ამოისუნთქა. მეტიც, მან ის გოგონა მოძებნა და უთხრა, თუ აბორტს არ გაიკეთებდა და ბავშვს გააჩენდა, 100 ათას დოლარს მიიღებდა და ბიზნესმენი შვილიშვილს წამოიყვანდა, თუმცა... როგორც გაირკვა, გოგონა ორსულად არ იყო და უბრალოდ, ბიჭს „ფულს ახევდა“.

რაც შეეხება ბიძაშვილს. უკვე ცხადი იყო, რომ მან დოკუმენტაცია დააქსეროქსა და მის გაყიდვას ცდილობდა. რატომ? ეს იყო ყველაზე საინტერესო კითხვა.

„სანამ მამაჩემი დაიღუპებოდა, როცა სოფელში ჩამოდიოდი, არაფრით მჯობდი. მჯობდი კი არა, კუდში დამყვებოდი, ცდილობდი, ჩემნაირი ყოფილიყავი, ჩემნაირად გეცურა მდინარეში, ჩემნაირად გეთევზავა, ხეებზე გეძრომიალა. მერე, მამაჩემი დაიღუპა და ჩემზე ისე დაიწყე ზრუნვა, თითქოს პატარა ბავშვი ვიყავი, სინამდვილეში კი, რომ გამმართლებოდა, მე უნდა მეზრუნა შენზე. რა გგონია, მსიამოვნებდა ის, რომ შენ დამაწყებინე ყველაფერი? ეს სულ მახსოვდა და მაწუხებდა. ჰო, მინდოდა გაკოტრებულიყავი და მერე მე გამემართა შენთვის ხელი, მე წამომექაჩე და დანაშაულის თუ მადლიერების გრძნობა შენ გქონოდა“, – უთხრა მან ბიზნესმენს.

ბინების მასშტაბური ძარცვა თბილისში

ვინ აძლევდა ქურდებს „ნაკოლს“ – გამოძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

როგორც წესი, ბინის ქურდობა, თავის დროზე, ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი. ნამდვილი „მედვეჟატნიკები“ არასდროს შედიოდნენ ბინაში, რომელიც საგულდაგულოდ არ ჰქონდათ შესწავლილი და ზუსტად არ იცოდნენ, რა დახვდებოდათ კარს მიღმა. ისე, იყო შემთხვევები (და არცთუ იშვიათად), როცა კონკრეტული ადამიანები პროფესიონალ ბინის ქურდებს ქირაობდნენ მხოლოდ საკეტის გასაღებად და თანხას ამაში იხდიდნენ ანუ მივიდა „მედვეჟატნიკი“ ბინის კართან, გააღო და ისე, რომ შიგნით არც შეუხედავს, უკან დაბრუნდა. შემკვეთებს დახვდებოდათ თუ არა ბინაში რამე, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის თავის გასამრჯელოს იღებდა და მშვიდად აგრძელებდა ცხოვრებას. მერე და მერე, ბინის ქურდების უდიდესი ნაწილი, „სამუშაოდ“ რუსეთში გადავიდა. იქ სარბიელიც უფრო დიდი იყო და შემოსავალიც. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ ბინის ცნობილმა ქურდება, რუსეთში ნაშოვნი ფულით, საქართველოში ბინებიც იყიდეს პრესტიჟულ უბნებში და ბიზნესიც აიწყვეს. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა, უკრაინის დედაქალაქში დუპლექსის ტიპის ბინა პრესტიჟულ უბანში შეიძინა, იქვე რესტორნისთვის ფართიც იყიდა, მაღაზიაც გახსნა და სწორედ მაშინ, როცა ეგონა, რომ ყველაფერს თავს დაანებებდა და ლეგალურად იცხოვრებდა, აქ, საქართველოში, ვიღაცამ „ჩაუშვა“, მე გამიშვით და ერთ ისეთ საქმეს გაგახსნევინებთო..

საქმე გაიხსნა, ეს კაცი დაიჭირეს, 7 წელიც ახეხინეს ნაციონალების ციხე და მერე... მერე ისევ უკრაინაში დაბრუნდა და ბიზნესმენობდა, თუმცა ომი, როგორც ყველა სხვას, ისე მასაც შეეხო.

ორი წლის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დედაქალაქში ბინის ქურდების ბანდა დააკავა. ჰო, ბანდა და არა – ერთი კონკრეტული ქურდი. სქემა იმდენად საინტერესოდ იყო აწყობილი, ჩვენი ნება რომ იყოს, ამ საქმეს სახელმძღვანელოებშიც შევიტანდით, რათა მომავალ სამართალდამცავებს გაეგოთ, როგორ შეიძლება იქცეოდეს ნამდვილი პროფესიონალი კრიმინალი და როგორ შეიძლება ურევდეს თავ-გზას ძალოვნებს.

ყველაფერი ძალიან ბანალურად დაიწყო – ერთ-ერთ უბანში ბინა გაქურდეს, მაგრამ იმდენად პროფესიონალურად, რომ სანამ ბინის პატრონები ორი კვირის შემდეგ შინ არ დაბრუნდნენ, ვერავინ ვერაფერს მიხვდა. მეტიც, მეზობელს გასაღები ჰქონდა დატოვებული, რომ ყვავილებისთვის წყალი დაესხა და როგორც გაირკვა, ბინის გაქურდვის შემდეგ, ის სამჯერ იყო ბინაში შესული ყვავილების მოსარწყავად, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ ბინა პირწმინდად გასუფთავებული იყო. ჰო, ცარიელი იყო კარადები, სეიფი, ძვირფასი ჭურჭელიც კი წაღებული იყო და მის ნაცვლად, „სერვანდში“ სამზარეულოს იაფფასიანი ჭიქები ელაგა, თუმცა მეზობელს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, კარადებს ხომ არ გამოაღებდა? რაღა თქმა უნდა, ძალოვნებმა, პირველ რიგში, ეჭვი სწორედ მეზობელზე მიიტანეს და დააკავეს კიდეც, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ არაფერ შუაში იყო და გაათავისუფლეს. ცუდი ის გახლდათ, რომ დრო იყო გასული, ვერც ძაღლი აიღებდა კვალს და სქელ მტვერსაც უკვე არსებული კვალი წაეშალა.

სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ამ საქმის გახსნა ძალიან ძნელი იქნებოდა, თუ შეუძლებელი არა.

„ბინიდან წაღებულია ორი ნახატი, თითოს ღირებულება 15-20 ათასი დოლარის ფარგლებშია, 5 ათასი დოლარის ჭურჭელი, 10 ათასი დოლარის ტანსაცმელი და თეთრეული, 50 ათას დოლარამდე ოქროული და სხვა ძვირფასეულობა“, – ამბობდნენ დაზარალებულები, მაგრამ სხვას ვერაფერს ამატებდნენ. წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვის შეიძლებოდა გაექურდა მათი სახლი მაშინ, როცა მათი წასვლის შესახებ, კოლეგებმა თუ მეზობლებმა იცოდნენ და რომელიმეზე ეჭვის მიტანა თივის ზვინში ნემსის ძებნას ჰგავდა.

მომხდარიდან ორ კვირაში, ანალოგიური დანაშაული მოხდა. ისევ პრესტიჟული უბანი, ისევ შვებულბაში წასული ოჯახი და ისევ მეზობელი, რომელსაც გასაღები ამჯერად ყვავილებისთვის კი არა, კატის მოსავლელად დაუტოვეს. მას კატისთვის ორ დღეში ერთხელ საჭმელი უნდა დაეყარა, კვირაში ერთხელ ქვიშა გამოეცვალა და... ამის სანაცვლოდ, 500 ლარი მისცეს და ისიც მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. ვერც ის მიხვდა, რომ ბინა გაქურდული იყო და როცა ქურდობის ფაქტი დადასტურდა, სამართალდამცავებმა მისი დაკავება არც კი სცადეს, რადგან იცოდნენ, ისევ ტყუილად იწვალებდნენ. ახლა, მთავარი ის იყო, ძალოვნებს გაეგოთ, საიდან იღებდნენ ქურდები „ნაკოლს“, მერე კი, მათზე გასვლაც არ იქნებოდა რთული. ამიტომ, ამ ბინების მეპატრონეებისა და მათი გარმეოცვის შესწავლა დაიწყეს, მაგრამ საერთო ვერაფერი იპოვეს, აბსოლუტურად ვერაფერი.

ამასობაში, მესამე და მეოთხე ბინაც გაქურდეს და ყველა შემთხვევაში, ერთნაირი ხელწერა იყო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ერთი ბინა უბრალოდ იყო დაკეტილი და მეზობელს გასაღები არ ჰქონდა, მეორე ბინაში კი, მეზობელი ყვავილებს უვლიდა. გამორიცხული გახლდათ, ყველა მეზობელი არაკეთილსინდისიერი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ერთი ბინა ისე გატყდა, მეზობელს შეხება საერთოდ არ ჰქონია.

„შეუძლებელია, ამ ბინებს რაიმე საერთო არ ჰქონდეთ, ან მის მეპატრონეებს. საქმეში ჩართეთ ყველა, სხვა გამომძიებლებმაც წაიკითხონ საქმე, რადგან შესაძლოა, თქვენ მიეჩვიეთ და ერთ წრეზე ტრიალებთ, ხოლო მთავარი, უმთავრესი გეპარებათ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ ნუ მოგერიდებათ და ნუ შეგრცხვებათ კოლეგების დახმარება“, – სამმართველოს უფროსი გამომძიებლებს თათბირს მშვიდი, მაგრამ მტკიცე ხმით უტარებდა და ისინიც მიხვდნენ, რომ უფროსი მართალი იყო.

მალე, აღნიშნული საქმის დეტალები, პრაქტიკულად, ყველა თანამშრომელს მაგიდაზე ედო და ყველა თავს იმტვრევდა, მაგრამ ბინებთან და მათ მეპატრონეებთან კავშირს ვერავინ პოულობდა.

ახლა ქალბატონების ზეიმი იქნება – ერთ-ერთმა ქალმა გამომძიებელმა, ბევრი წვალებისა თუ ფიქრის შემდეგ, საქმე მაგიდაზე დადო და თქვა – „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ ბინებს და მათ მეპატრონეებს აერთიანებს ერთადერთი რამ – ინტერნეტ პროვაიდერი ანუ ყველა ბინის მეპატრონე, ერთი და იმავე ინტერნეტ-კომპანიის მომსახურებით სარგებლობს და მგონია, რომ საქმის გასაღებიც ამ კომპანიის თანამშრომელს, ან თანამშრომლებს შორის უნდა ვეძებოთ“. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და ორ საათში, ინტერნეტ-კომპანიის ხელმძღვანელი და ტექნიკური მენეჯერი განყოფილებაში ჩვენებას აძლევდნენ.

„უნდა ვნახო, ვინ შეიყვანა იმ ბინებში ინტერნეტი. გიდასტურებთ, რომ ყველა ბინა, რომელიც თქვენ დაასახელეთ, ჩვენ გათიშული გვქონდა, რადგან მეპატრონეებმა დარეკეს და გვითხრეს, რომ შვებულებაში მიდიოდნენ და ამის გამო, ინტერნეტს აპაუზებდნენ“, – უხერხულად საუბრობდა ტექნიკური მენეჯერი და მართლაც, ერთ საათში, მან დაასახელა კომპანიის თანამშრომელი, რომელმაც ბინებში ინტერნეტი დაამონტაჟა ანუ მან კარგად იცოდა, მეპატრონეთა ქონებრივი შესაძლებლობაც და ისიც, თუ როდის და რამდენ ხანს არ იქნებოდნენ სახლში. ეს კი, საქმის გახსნას უდრიდა. ამიტომ, სამართალდამცავებმა მაშინვე გამოითხოვეს სია, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა აღწერილი ის ბინები, სადაც ეჭვმიტანილს ინტერნეტი ჰქონდა დამონტაჟებული და რაც მთავარია, ამ ბინებიდან ერთ-ერთის მეპატრონე მაინც, შვებულებაში უნდა გასულიყო და ინტერნეტი დაეპაუზებინა, რათა კომპანიის თანამშრომელს თანამზრახველებისთვის შეეტყობინებინა.

„თქვენ რა, სულ გაგიჟდით? ვის და რას ელოდებით? დააწერინეთ ნებისმიერს განცხადება ინტერნეტის შეჩერებაზე შვებულების მოტივით, გადაიყვანეთ სადმე სასტუმროში და ჩასაფრება მოაწყვეთ“, – უფროსმა ლამის თმები დაიგლიჯა, ასეთ მარტივ რამეს რატომ ვერ ხვდებითო? გამომძიებლებმა „მსუყე“ ბინა შეარჩიეს, მის მეპატრონეს დაელაპარაკნენ, მარტივად დაითანხმეს და ბინაში ოთხი ოპერმუშაკი ჩასახლდა, გარეთ კიდევ ორი ბრიგადა მორიგეობდა, ოღონდ ისე, რომ არავის შეემჩნია. ოპერებს თან სამი დღის საკვები ჰქონდათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქურდები ამდენს არ გაჭიმავდნენ, მაგრამ სამი დღეც გავიდა, ოთხიც და ხუთიც, მაგრამ არავინ ჩანდა. ოპერებს საკვები საიდუმლოდ მიაწოდეს და საქმეში ისევ სამმართველოს უფროსი ჩაერია.

„თქვენ მართლა დაკარგეთ აზროვნების უნარი? ვის და რას ელოდებით? დაარეკინეთ კომპანიაში ბინის მეპატრონეს და ათქმევინეთ, რომ შვებულებას სამსახურის გამო წყვეტს, რომ მეორე დღეს ქალაქში იქნება, რომ ინტერნეტი უსიკვდილოდ სჭირდება და ჩართონ. ქურდებს 24 საათიც კი არ ექნებათ ბინაში შეასასვლელად და იმოქმედებენ“, – უფროსი ბოლო ხმაზე ყვიროდა.

ოპერები ასეც მოიქცნენ და დაგებულმა ხაფანგმა იმუშავა. იმავე ღამეს, ბინის ქურდებმა ისე უხმაუროდ გახსნეს საკეტი, ჩასაფრებულმა სამართალდამცავებმა ლამის ტაში დაუკრეს. მათი დაკავებაც უხმაუროდ მოხდა და სასამართლომ ოთხივეს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კომპანიის თანამშრომელს კი, „ნაკოლის“ მიცემისთვის – 6 წელი ერგო, აქაოდა, ის მხოლოდ მისამართებს ამბობდა, თორემ დანაშაულის ჩადენაში არ მონაწილეობდაო.

ბათო ჯაფარიძე

ცუდი სტატისტიკაა, მაგრამ ვერსად გავექცევით - საქართველოში შექმნილი ოჯახების მესამედი ინგრევა. მიზეზი სხვადასხვაგვარია და ერთ-ერთი უმთავრესი, ალბათ, ისაა, რომ ოჯახის დანგრევა აღარ „ტეხავს“. აი, კომუნისტების დროს ასე არ იყო, მაშინ ოჯახის დანგრევა საზოგადოების გაკიცხვის თემა ხდებოდა და შეიძლებოდა სამსახურში, სადაც მუშაობდით, ამხანაგური სასამართლოც კი მოეწყოთ. მეტიც, თანამდებობის პირისთვის მეუღლესთან დაშორება, შესაძლოა, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზიც კი ყოფილიყო.

რატომ დასდო ბრალი სტუდენტმა მამინაცვალს გაუპატიურებაში

ვინ არის პროფესორი ქალი, რომელიც ხელოსან მამაკაცს ხაფანგს უგებდა

ჰოდა, დღეს დაშორების შემდეგ, არც მეორედ გათხოვებაა უცხო და დედინაცვალი თუ მამინაცვალი ჩვეულებრივი ამბავია. შესაძლოა, ვინმეს მარტივი ეგონოს, რომ ბავშვები „ახალ“ დედას ან მამას ეგუებიან, რეალურად კი, ეს მათთვის სტრესია და თან ძალიან დიდი სტრესი. სრულფასოვან ოჯახში გაზრდილი ბავშვი უფრო ლაღია, თითქოს, მაგრამ რა თქმა უნდა, არც ის არის კარგი, ოჯახის შენარჩუნების მიზნით, ბავშვი ყოველდღიურად ცემა-ტყეპას რომ უყურებს, ან მშობლების დაუმთავრებელ კამათს უსმენს. მოკლედ, რთული ამბავია ეს და თან ძალიან.

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და განცხადება დაწერა, ჩემს გაუპატიურებას მამინაცვალი აპირებდა და მიშველეთო. მას თან იმ ინსტიტუტის ლექტორი ახლდა, სადაც გოგონა სწავლობდა და ქალბატონმა ისიც თქვა, სანამ საქმე ბოლომდე არ დასრულდება და იმ ნაძირალას საკადრისს არ მიუზღავთ, ჩემი სტუდენტი ჩემთან იცხოვრებს, მაინც მარტო ვარ სახლში და ხელს არ შემიშლისო. რა ძნელი მისახვედრია, რომ სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი დააკავეს.

„თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი გერის გაუპატიურება მსურდა? ალბათ, ასე ვინმე იქცევა, ან ავადმყოფური ტვინი აქვს ვინმეს და ფიქრობს, რომ ბავშვთან, თუნდაც ის სტუდენტი იყოს, ინტიმური ურთიერთობა შეიძლება. ჩემი გერისთვის, როგორც ქალისთვის, არასდროს შემიხედავს. ვაღიარებ, ხანდახან ვტუქსავდი, მაგრამ მხოლოდ ყოფითი პრობლემების გამო - თუ დააგვიანებდა, თუ იზარმაცებდა... ჰკითხეთ ლექტორებს, მათთან ხშირი ურთიერთობა მქონდა, ყოველთვის ვამოწმებდი, როგორ სწავლობდა ჩემი შვილი. ჰო, შვილი და არა - გერი. მე დედამისი მიყვარს, ცოლადაც მოვიყვანე, ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ ეს დღეების ამბავია, ბავშვს ველოდებით და ეგებ, იეჭვიანა, ეგებ, ფიქრობს, რომ პატარა მის ადგილს დაიკავებს და ის ისე აღარ გვეყვარება... არ ვიცი, რა ვიფიქრო, გაუპატიურების მცდელობა კი არა, გადაკრული სიტყვაც კი არ მითქვამს არასდროს“, - განაცხადა დაკავებულმა.

მომხდარით შოკირებული იყო სტუდენტის დედა. ის ხელებს შლიდა და ამბობდა, აღარ ვიცი, ვის დავუჯერო, ან შვილი მატყუებს, ან მამაკაცი, რომელიც მიყვარს და რომლისგანაც შვილს ველოდებიო. გოგონას იმდენად უმნიშვნელო დაზიანებები ჰქონდა, რომ რამე დასკვნის გაკეთება ძალიან ძნელი იყო. გამოდიოდა, რომ ძალოვნები ან გოგონას ჩვენებას უნდა დაყრდნობოდნენ, ან მამინაცვლის, მაგრამ ფაქტების გარეშე, რატომ უნდა დაეჯერებინათ ერთის ან მეორის ვერსია? საქმეში ლექტორი ჩაერთო.

„ვადასტურებ, რომ მამინაცვალი ჩემს სტუდენტს ავიწროვებდა. ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს, მისთვის მეორე დედასავით ვარ და ყველაფერს მიყვება. ამიტომ, დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა. მამინაცვალმა მას კარი შეუღო აბაზანაში, როცა ის ბანაობდა, შეაღო მისი საძინებლის კარი, როცა ის დასაწოლად ემზადებოდა და ამით აგრძნობინებდა, რომ მის მიმართ გულგრილი არ გახლდათ. მისი თუ არ გჯერათ, ჩემი მაინც დაიჯერეთ, პროფესორი ვარ და ასობით სტუდენტის ბედი მაბარია“, - განაცხადა პროფესორმა.

მისი სიტყვები სტუდენტმა გოგონამაც დაადასტურა, აღიარა, რომ მამინაცვალი ყოველთვის ავიწროვებდა, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ დედას ეჭვი არ აეღო, თითქოს, შემთხვევით გააღო აბაზანის კარი, თითქოს, შემთხვევით შევიდა საძინებელში... სამზარეულოშიც, დილით, თითქოს შემთხვევით ეხებოდა თეძოებზე... როცა ეს დაკავებულს უთხრეს, მას ცოტა ხნით, გაოცებისგან მეტყველების უნარი წაერთვა. არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს, მისმა გერმა თქვა და კატეგორიულად ითხოვდა, დამაპირისპირეთო. როცა გამომძიებელმა უთხრა, რომ გერის გარდა, იგივეს ამბობდა მისი ლექტორიც, მამაკაცმა შვებით ამოისუნთქა და სკამზე გადაწვა.

„ახლა ყველაფერი გასაგებია. ყველაფრის თავი და თავი, სწორედ ის ლექტორა. საქმე ის გახლავთ, რომ მე უნივერსიტეტში, ჩემს ბრიგადასთან ერთად, რემონტს ვაკეთებდი. სწორედ მაშინ გავიცანი ის ლექტორი, თითქოს, ურთიერთობაც დავიწყეთ და სახლშიც დამპატიჟა, მარტო ცხოვრობს. ერთი-ორჯერ დავრჩი კიდეც, უფრო სწორედ, რამდენჯერმე დავრჩი მასთან. მერე, ისე გამოვიდა, რომ მინიშნებების გარეშე მითხრა, ურიგო არ იქნება, თუ ცოლად მომიყვან, შენც უცოლო ხარ, მეც გაუთხოვარი და დროა, ორივემ ოჯახი შევქმნათო. ერთი შეხედვით, ამის წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ შემდეგ ჩემი გერი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თუ დრო გექნებათ, სახლში ოთახი მაქვს გასარემონტებელი და იქნებ, დაინტერესდეთო. წავედი, ოთახი ვნახე, ფასზეც შევთანხმდით და რემონტიც დავიწყე. სწორედ იქ გავიცანი ქალი, რომელსაც, ალბათ, მთელი ცხოვრება ვეძებდი, შემიყვარდა, ურთიერთობაც აეწყო და ცოლად მოყვანასაც ვაპირებ. უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ბავშვს ველოდები, მაგრამ ახლა ყველაფერი, თითქოს, თავზე მენგრევა. მგონია, რომ სწორედ ლექტორმა შეაგულიანა და ეს სისულელე მოაგონებინა, მაგრამ რატომ, რისთვის, რა დაპირდა, ან რით შეაშინა, ვერ ვხვდები“, - ამბობდა დაკავებული.

გამოძიება სხვა მიმართულებით წავიდა. სამართალდამცავებმა ლექტორის თვალთვალი დაიწყეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს ისეთი, რასაც ხელს ჩასჭიდებდნენ. საჭირო იყო, გოგონა ახლიდან დაეკითხათ, ან მისთვის დაქალი მიეგზავნათ, რომელიც რაღაცებში გამოტეხავდა და ამისთვის, მისი საუკეთესო მეგობარი შეარჩიეს, თუმცა გააფრთხილეს, ლექტორის სახლში არ მიხვიდე და იქ არ ესაუბრო, სადმე კაფეში დასხედითო. დაქალმა სამი დღე იწვალა და მხოლოდ ის დააცდენინა, რომ მამინაცვლის დაჭერა დედის გამო სურდა და არ უნდოდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება, დედამისი დატანჯულიყო. ეს იყო მინიშნება, მაგრამ არა ჩვენება და იმის აღიარება, რომ გოგო იტყუებოდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ, სამართალდამცავებმა მამაკაცი გაუშვეს, მისივე ნებართვით, სახლში ვიდეოთვალი დააყენეს და სპეციალური ინსტრუქციებიც მისცეს. გოგონას კი უთხრეს, რომ მამაკაცი ხელწერილით იყო გაშვებული და ნებისმიერი, ერთი მცდელობაც კი, მის დაპატიმრებას და გასამართლებას უზრუნველყოფდა, თუმცა გამოძიებას ფაქტები უნდა ჰქონოდა, თუნდაც სხეულის ისეთი დაზიანება, რომელსაც ჩაეჭიდებოდნენ. უთხრეს კიდეც გოგოს, ცოტა მეტი წინააღმდეგობა გაუწიე, უკბინე, თუ ვერ ურტყამო. გოგომაც თანხმობა განაცხადა და პროცესიც დაიწყო. ერთადერთი, ვინც არაფერი იცოდა, გოგონას დედა იყო, მას არ უნდა ენერვიულა. იმავე დღეს, ვიდეოთვალის მეშვეობით, გამომძიებლებმა მოისმინეს, როგორ შერიგდა ოჯახი, როგორ თქვა მამაკაცმა, რომ გოგონას პატიობდა ცილისწამებას და როგორ დაიქნია გოგომ თავი იქედნურად და თითქოს, მუქარით. მეორე დღეს, ქალი სამსახურში წავიდა, მამაკაცი სამზარეულოში ჩაის სვამდა, გოგონა კი მას მიეპარა და მხარზე გამეტებით უკბინა, შემდეგ კი, ხელი კედლის კუთხეს ისე შემოარტყა, სილურჯე გარანტირებული იქნებოდა. ხუთ წუთში, მათ კარზე სამართალდამცავებმა დააკაკუნეს. გოგონა ზეიმობდა, აგერ, ფაქტზე წაგვასწარით, ჩემს გაუპატიურებას ცდილობდაო და სახე წაეშალა, როცა ძალოვნებმა დამალულ ვიდეოთვალზე მიუთითეს და უთხრეს, რომ ყველაფერი გადაიღეს და ჩაიწერეს. ახლა, ჩვენების მიცემის დრო იყო, ნამდვილი ჩვენების.

„მე დედაჩემის გადარჩენა მინდა. ეს არაკაცი ჩემს ლექტორთან ცხოვრობს, მას უპირებს ცოლად მოყვანას, დედაჩემთან კი ერთობა. ლექტორმა მანახა ფოტოები, როგორ სძინავს მის ლოგინში, მისი ტანსაცმელიც კი არის კარადაში. დედაჩემთან კი ბავშვი უნდა ეყოლოს და ვითომ ბედნიერია, სინამდვილეში კი, ერთი სული აქვს, მიატოვოს და ჩემს ლექტორთან გაიქცეს. ის კი არ მიიღებს, ზუსტად ვიცი, რომ არ მიიღებს, დამპირდა“, - თქვა გოგონამ.

ცხადი იყო, რომ ეს ლექტორის მიერ დაგებული ხაფანგი იყო და ამიტომ, დაკითხვაზე ის წაიყვანეს. ეს იყო ეჭვიანი და უარყოფილი ქალის ტიპური ნიმუში.

„ეს შარვალგამოხეული კაცი სახლში მივიყვანე, ცოლობას დავპირდი, მოვუარე, გავაძღე და მერე იმ კახპასთან გაიქცა. ჰო, კახპაა, აბა, რა არის, ერთხელ გათხოვდა, შვილი ჰყავს და ახლა მეორედ მოინდომა გათხოვება. სურათები ადრე გადავუღე, როცა ჩემთან ცხოვრობდა და მერე გამოვიყენე. არ ვნანობ იმიტომ, რომ ქვეყანაზე სამართლიანობა უნდა იყოს“, - განაცხადა ლექტორმა.

სასამართლომ მას მხოლოდ 3 წელი პირობითი მიუსაჯა, მამაკაცმა კი, საყვარელ ქალთან იქორწინა და მალე ბიჭიც შეეძინა.

აფხაზეთში, რუსეთთან ე.წ. საზღვარზე მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სამართალდამცავებმა აფხაზეთში, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე, სროლაში ეჭვმიტანილები დააკავეს, – ინფორმაციას რუსული მედია გაგრის რაიონის ე.წ. პროკურატურაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის, რობერტ კიუტის განმარტებით, სროლის ექვსი მონაწილიდან სამი დააკავეს, მათგან ერთი – რუსეთის ტერიტორიაზე, დანარჩენ სამს კი ეძებენ. მისივე ინფორმაციით, ყველა ეჭვმიტანილი „აფხაზეთის მოქალაქეა". დაპირისპირების მიზეზი ხანგრძლივი ქონებრივი კონფლიქტი გახდა.

ე.წ. საზღვარზე სროლა გუშინ მოხდა. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაიღუპა ერთი და დაშავდა სამი მოქალაქე, მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე მკვლელობისა და იარაღის უკანონოდ შენახვა-გადატანის მუხლებით აღიძრა.

პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, გამოძალვისა და სქესობრივი კავშირის იძულების ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, ასევე, გამოძალვისა და სქესობრივი კავშირის იძულების ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა უკანონოდ მოიპოვა და შეინახა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა და სახელის გამტეხი ინფორმაციის გახმაურების მუქარით, დაზარალებულს სხვადასხვა დროს თანხები გამოსძალა. ასევე, აიძულა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 21 ივნისს დააკავეს. მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მობილურ ტელეფონებსა და კომპიუტერულ ტექნიკაში, ასევე, ნანახი იქნა სხვადასხვა პირებთან ინტიმური კავშირის ამსახველი უკანონო ჩანაწერები. მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები სხვა შესაძლო დაზარალებულების დადგენის მიზნით.

დაკავებულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა), 181-ე მუხლის პირველი ნაწილით (გამოძალვა, რასაც ერთვის დაზარალებულის მიმართ სახელის გამტეხი ცნობის გახმაურებისა და ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები) და 139-ე მუხლის პრველი ნაწილით (სქესობრივი კავშირის იძულება, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფო რმაციის გახმაურების მუქარით) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს", – ნათქვამია ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 27 პირი დააკავა, მათ შორის, 15 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთისა და იმერეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 27 პირი დააკავეს, მათ შორის, 15 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებია ამოღებული. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას" და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გასაღების, გასაღების მომზადებისა და გასაღების მცდელობის ფაქტებზე დაკავებულები არიან: 2004 წელს დაბადებული ნ.რ., 1987 წელს დაბადებული ვ.ბ., 1987 წელს დაბადებული თ.მ., 2001 წელს დაბადებული ნ.ტ.; 2003 წელს დაბადებული თ.პ.; 2003 წელს დაბადებული გ.ზ.; 1988 წელს დაბადებული დ.ა.; 2002 წელს დაბადებული ა.შ.; 2002 წელს დაბადებული შ.ბ. და წარსულში ნასამართლევი, 1988 წელს დაბადებული ს.ბ.; 1990 წელს დაბადებული გ.მ.;

უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1973 წელს დაბადებული მ.შ., 1998 წელს დაბადებული გ.ი., 1988 წელს დაბადებული ლ.გ. და 1993 წელს დაბადებული დ.პ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანისა და გატანის, უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას" უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული ს.ა., 1992 წელს დაბადებული რ.ბ.; 1960 წელს დაბადებული გ.რ.; 1975 წელს დაბადებული ნ.ა.; 2001 წელს დაბადებული ლ.ბ.; 1995 წელს დაბადებული რ.ქ.; 1954 წელს დაბადებული გ.პ. და წარსულში ნასამართლევი, 1975 წელს დაბადებული ზ.ბ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1994 წელს დაბადებული ი.კ.; 1968 წელს დაბადებული ა.ზ.; 1968 წელს დაბადებული ჰ.რ., 1986 წელს დაბადებული ჰ.გ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, „ჰეროინი", „კოკაინი", „ბუპრენორფინი", „მორფინი", „თებაინი", „კოდეინი", „მეტადონი", „ალფა პვპ", „მეფედრონი", „კლეფედრონი", „მეტამფეტამინი", „ლირიკა" და „მარიხუანა".

ბრალდებულებისგან პოლიციამ, ასევე, ნივთმტკიცებად, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული დიდი ოდენობით ფული და ელექტრო-სასწორები ამოიღო.

ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 18-260-ე, 19-260-ე, 261-ე, 262-ე, 265-ე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

ზღაპარი იყო, სასწაულიც, ახლა უტოპიის ჯერია

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, მხოლოდ ქართველებს გვჯეროდა, რომ ჩვენი ნაკრები კონტინენტის პირველობაზე ღირსეულად ითამაშებდა. ექსპერტების დიდი ნაწილი კი ერთადერთ დებიუტანტს სკეპტიკურად უყურებდა და აკი, ღიად ამბობდა კიდეც, გოლის გატანა ზღაპარი იქნება, ქულის აღება – სასწაული, ხოლო ჯგუფიდან გასვლა – უტოპიაო. ჰოდა, ზღაპარი ვნახეთ, სასწაულიც მოვახდინეთ და უტოპიის ჯერია.

ახლა, თურქეთთან და ჩეხეთთან შეხვედრების მიმოხილვას არ ვაპირებთ, რადგან ვინც ამ თამაშებს არ უყურა, ის არც ამ სტატიას წაიკითხავს, ვინც უყურა კი... ჰო, ქართველებმა ორი რამ ვიცით კარგად – ფეხბურთი და პოლიტიკა და შეგვიძლია, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიმართულებით ვიდაოთ. არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო პოლიტიკაც დავალაგოთ (გურული გლეხის ნათქვამიც უნდა გავიხსენოთ – მე ჩემს თავს არ ვიცი რაფრა ვუშველო, თორემ მსოფლიო პოლიტიკას კი გაგიშლი და დაგილაგებო). ჰოდა, ბევრის აზრით, თურქეთთან არ გაგვიმართლა, არც ჩეხეთთან, თორემ ორივე თამაში უნდა მოგვეგო და ალბათ, ცოტა იღბალი და მართლა უნდა მოგვეგო, მაგრამ... იღბალი გვქონდა ბერძნებთან, როცა საფეხბურთო ლატარეაში ვიმარჯვეთ, იღბალი გვქონდა მაშინ, როცა წარმოუდგენელი ჩანდა ევროპაზე ჩვენი მოხვედრა და მოვხვდით. ჰოდა, ალოგიკური არაფერი ხდება და ვაღიაროთ, ქართული ხასიათი გვაიძულებდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად იყო წასული, თორემ ის, რასაც ბიჭები აკეთებენ, მხოლოდ ქების ღირსია. არცერთი შეხვედრა არ ყოფილა ისეთი, რომ ჩვენი ნაკრების შეგვრცხვენოდა. არცერთი შეხვედრა არ ყოფილა ისეთი, რომ გვეთქვა, ესა თუ ის ფეხბურთელი თავს ზოგავსო ანუ ისინი იბრძვიან, აკეთებენ ყველაფერს, რაც შეუძლიათ. თუმცა, როცა ევროპის ჩემპიონატზე, ზედიზედ მერვედ მოთამაშე ჩეხეთს ეთამაშები, როცა ხვდები თურქეთს, რომელიც როგორც ევროპაზე, ისე მსოფლიოზე რეგულარულად ასპარეზობს და შენთვის ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი ახალი და სადებიუტოა, ძნელია. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი გუნდის უდიდეს ნაწილს, 22-23 წლის ბიჭები შეადგენენ ანუ ისინი, რომლებმაც მომავალი შვიდი-ათი წლის განმავლობაში უნდა დაიცვან საქართველოს ღირსება და გვჯერა, ეს არ არის მათი ბოლო დიდი საფეხბურთო ფორუმი. მათ ამ ტურნირის გემო გაიგეს, მათ „სისხლის სუნი“ იგრძნეს და შემდგომში უფრო მოინდომებენ, უფრო მეტად გაიზრდებიან, უფრო მეტად დაბრძენდებიან.

და კიდევ – ევროპის ამ ჩემპიონატმა აჩვენა, რომ გიორგი მამარდაშვილი დღეს მსოფლიოს (და არა ევროპის) მეკარეების ტოპ-სამეულში შედის და აგერ, ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე, გრანდში თუ არ გადავიდეს და მასში ყველაზე ცოტა, 45 მილიონი თუ არ გადაიხადონ, თავად ნახავთ.

დასასრულ – პორტუგალიასთან მოგება წარმოუდგენლად ჩანს, მაგრამ... არავის სჯერა, რომ ვერ მოვიგებთ! ჰო, უნდა მოვიგოთ, უნდა შევძლოთ, ჩვენ ხომ ქართველები ვართ და სასწაული არაერთხელ და არაერთ სფეროში მოგვიხდენია!

ფეხბურთის გადამკიდეებს, კალათბურთი დაგვავიწყდა

გერმანიაში ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი გახურდა და რა თქმა უნდა, ქართველი გულშემატკივრების ყურადღება იქეთკენ არის მიმართული. ეს ადვილი გასაგებია – ჩვენი ეროვნული ნაკრები ასეთი დონის ფორუმზე პირველად თამაშობს და მოსახლეობა მათგან სასწაულის მოხდენას ელოდება. ღმერთმა ქნას, ეს სასწაული მოხდეს, მით უმეტეს, ჩვენს ბიჭებს ამის ძალა ნამდვილად შესწევთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ფეხბურთის გადამკიდეებს, კალათბურთი დაგვავიწყდა. ჰო, კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელსაც ისტორიაში პირველად, ოლიმპიადაზე მოხვედრის არც თუ ურიგო შანსი აქვს.

ალექსანდრ ჯიკიჩის ხელმძღვანელობით, ჩვენი გუნდი იტალიაშია შეკრებილი და წვრთნას გადის. იტალიასთან ამხანაგური შეხვედრის შემდეგ, ნაკრები ლატვიაში, კონკრეტულად კი, ქალაქ იურმალაში გაემგზავრება და კამერუნთან და ეგვიპტესთან გამართავს ამხანაგურ შეხვედრებს, შემდეგ კი, ოლიმპიადის საგზურისთვის ბრძოლაც იწყება.

ოლიმპიადის 4 საგზურისთვის 24 ნაკრები იბრძოლებს, რომელთა შორის, საქართველოც არის. ჩვენი ნაკრები A ჯგუფში მოხვდა და მეტოქედ ჯგუფური ეტაპის მასპინძელი ლატვია და ფილიპინები ჰყავს. ლატვიაშივე ითამაშებენ B ჯგუფის ბინადრები, რომელშიც კამერუნი, მონტენეგრო და ბრაზილია არიან გაერთიანებული. A ჯგუფის პირველადგილოსანი, B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება და პირიქით, B ჯგუფის გამარჯვებული, A ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება, წყვილში გამარჯვებულები კი, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და ვინც მოიგებს, ოლიმპიადის საგზურსაც მიიღებს. რეალურად, ჩვენს ნაკრებს ჯგუფიდან გასასვლელად ერთი მოგებაც ეყოფა, მერე კი... მოკლედ, ოლიმპიადაზე მოხვედრის ძალიან რეალური შანსი გვაქვს.

ევროთასეებზე ქართული კლუბების მეტოქეთა ვინაობა ცნობილია

ივლისში, მომავალი სეზონის ჩემპიონთა, ევროპა და კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი აიღებს სტარტს. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის, ბათუმის „დინამოს მეტოქე, პირველ ეტაპზე, ბულგარული „ლუდოგორეცი“ იქნება. ვაღიაროთ, რომ აჭარლებს ძლიერი მეტოქე ერგოთ და სასწაული უნდა მოხდეს, ამ ბარიერს გასცდნენ. მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში, „დინამო“ დამაჯერებლად ნამდვილად არ თამაშობს და ყველაფერთან ერთად, კლუბის პრეზიდენტს, არჩილ ბერიძეს, ფეხბურთში საქმიანობა ორი წლით ოფიციალურად აეკრძალა. თუ აჭარლები ამ ბარიერს დაძლევენ, მეორე ეტაპზე, მინსკის „დინამოსა“ და სომხურ „პიუნიკს“ შორის უძლიერესს დაუპირისპირდებიან. თუ დამარცხდებიან, კონფერენს ლიგაზე გადაინაცვლებენ, სადაც მეტოქედ უელსურ „ტნს“-სა და მონტენეგროს „დეჩიჩს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ქუთაისის „ტორპედოს, რომელიც კონფერენს ლიგაზე იასპარეზებს, პირველ მეტოქედ ალბანური „ტირანა“ ჰყავს, ხოლო თუ ამ ბარიერს დაძლევს, შემდეგ ეტაპზე კვიპროსული „ომონია“ ელოდება. კონფერენს ლიგაზე იქნება თბილისის „დინამოც“, რომელსაც პირველ მეტოქედ მონტენეგროს „მორნარი“ ჰყავს, ხოლო თუ დედაქალაქელები ამ ბარიერს გაივლიან, მეორე წრეში სერბულ „რადნიჩკის“ შეხვდებიან. რაც შეეხება „იბერია-1999“-ს, კლუბი კონფერენს ლიგის გათამაშებაში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება და მეტოქედ მალტის „მარსაქსლოკსა“ და ალბანურ „პარტიზანს“ შორის უძლიერესი ეყოლება.

მამიაშვილი იმუქრება – ოლიმპიადაზე ტანკებით ჩავალთ



რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, მიხეილ მამიაშვილი იმუქრება, რომ თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტილებას არ შეცვლის და რუს მოჭიდავეებს პარიზის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას არ მისცემს, ისინი საფრანგეთის დედაქალაში ტანკებით ჩავლენ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსმა მოჭიდავეებმა ოლიმპიადის 16 ლიცენზია მოიპოვეს, ბელორუსებმა – 10, მათ ოლიმპიადაზე ნეიტრალური გუნდის სახელით უნდა ეასპარეზათ ანუ არც დროშა, არც გერბი, არც ჰიმნი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ 26 მოჭიდავე ძალიან ბევრია და მთლიანობაში, 16 ლიცენზია გამოყო, 10 – რუსებისთვის, 6 – ბელორუსებისთვის, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ სეოკ-მა თავად გადაწყვიტა, ვინ უნდა წავიდეს ოლიმპიადაზე და შემცირებულ ლიცენზიებს, სიებიც თან აახლა. სიაში კი არ არიან ზაურ უგუევი, ზაურბეკ სიდაკოვი და აბდულრაშიდ სადულაევი. სამივე მათგანი მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია და მამიაშვილიც სწორედ ამან გააცოფა.

„ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის, ეს არ გახლავთ საბოლოო გადაწყვეტილება და თუ მართლა არ გაუშვებენ ჩვენს ბიჭებს ოლიმპიადაზე, თუ მოქმედ ჩემპიონებს ტიტულის დაცვის უფლებას არ მისცემენ, პარიზში ტანკებით ჩავალთ და ისე ვიჭიდავებთ“, – განაცხადა მამიაშვილმა. იმედია, საფრანგეთის ხელისუფლება ამ განცხადებას შესაბამისად გაიგებს და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს, სწორედ ამ განცხადების გამო, პარიზის ოლიმპიადაზე ჩასვლას აუკრძალავს და ქვეყანაში არ შეუშვებს.

ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ჩურჩხელები!

ეკატერინე გაგაშვილი

მთელი ერთი თვეა, რაც ჩვენს სახლში მხოლოდ ეს სიტყვებიღა ისმის. მაშინ, როდესაც მამაკაცები მთელს დროს ქვევრების რეცხვას, საწნახელის გაწყობას, გოდრების წვნას, სართველოდ ვენახის გამოწმენდას ანდომებენ, დედაკაცები სულ ჩურჩხელების სამზადისში არიან. რვა ენკენისთვეს კაკლის ბერტყვა დაიწყო, დედათქვენმა კრეფის დროსვე საუკეთესო კაკლები გადაარჩია, დაკროლა, წენგოსაგან გასუფთავებული, დიდს ჭილობზედ გაგვაშლევინა, მზის გულზედ და თვითონ აივნიდგან თვალმოუშორებლივ, ორი-სამი დღე უყარაულა.

– იქით, იქით, ონავარო, – ეუბნებოდა პატარა ნიკოს, რომელიც, წუწკ ციცუნიასავით ოთხზედ დამდგარი, ეპარებოდა კაკლებს.

– საჩურჩხელეა, საჩურჩხელე, არ მიეკარო, თორემ ხელებზედ გცემ.

– ხელი, ხელი არ ახლო, – სასტიკად შეუყვირა მზარეულს – გიგუას, რომელსაც ერთი-ორი კაკალი უნდა აეწაპნა ჩასაკნატუნებლად.

– განა, სხვა კაკალი არ მოიპოვება სახლში, რომ მაგას არ წაეტანო?! არ იცი, რომ საჩურჩხელეა?!

მესამე დღეს, საღამოზედ, ჩაის შემდეგ, ჭილობზედ შეგროვილი, გამშრალი კაკალი ქალბატონის ოთახში შევიტანეთ, გარს შემოვუსხედით, წინ ბრტყელი ქვები დავიწყეთ, ხელში – მრგვლები, და შევუდექით მტვრევას და რჩევას: მებაღის ცოლი მართა, იმისი ქალი ნუშკა, ჩვენი პატარა გოგო ანუა, ტარამანაანთ ნინუა და თქვენი მოსიყვარულე გამდელი თინათინა. ქალბატონი მაგიდასთან იჯდა და ჩვენს მიწვდენილს ქაღალდივით თეთრს ნიგოზს დიდ სინებზედ აგროვებდა. მტვრევის დროს ვმღეროდით, ვიცინოდით, რძესავით გემრიელს ნიგოზს ვღეჭავდით და თან ვანგარიშობდით, თუ რამდენი ჩურჩხელა უნდა აგვესხა, რომ ყველას, ჩვენო ძვირფასებო, გყოფნოდათ და ჩვენთვის – სტუმარ-მასპინძლისათვისაც ბლომად დაგვრჩენოდა. ათ საათამდის ვიმუშავეთ, ათზედ კი ყველანი ჩავჩუმდით, თვალზედ რული მოგვეპარა, ხელების აღებ-დაღებას ვუკელით, ქვების რაკარუკი მიყუჩდა.

ქალბატონმა დაღალულობა შეგვატყო და საქმეზედ ხელი აგვაღებინა.

– კმარა, კმარა დღეს, დანარჩენი ხვალ საღამოსთვის იყოს, – თქვა, სავსე ლანგრებს გაზეთის ფურცლები გადააფარა და განჯინაში შეაწყო.

დილით წუხანდელი დარჩეული ნიგოზი მზეზედ გავფინეთ. საღამოზედ კვლავ ვამტვრიეთ კაკალი. ქალბატონი კი თავისის ჯიბის დანით, დილით, გამხმარს ნიგოზს საჩურჩხლედ სჭრიდა. ჩვენ კიდევ ვიცინოდით, ვმღეროდით, ვამტვრევდით, ვარჩევდით და ვღეჭავდით რძით სავსე ნიგოზს. ბევრჯერ მოგიგონეთ თქვენ: ვანო, ლადო, ნატო, კატო! საწყლებო, რამდენი წელიწადი აღარ მოსწრებიხართ რთველს, ჩურჩხელების გავლებას, ბროლივით თეთრის და შაქარივით ტკბილის თათარას წინწკლების ლოკვას ტაბაკებზედ!

რაღა ბევრი გავაგრძელო, მთელი ექვსი დღე ვასხამდით ჩურჩხელებს. ორი დღე მარტო თავდებები ვუკეთეთ მე და ქალბატონმა და მერე, ჯარივით ჩარახტული გრძელ სარზედ, მზეზედ ჩამოვკიდეთ. ახლა ნარკვევის რჩევას შევუდექით. მთელი სამი დღე ჩავკირკიტებდით ჭვავით სავსე ხორბალს და ძლივს ბოლო მოვუღეთ. ასე გარჩეული ხორბალი წისქვილში მე თვითონ ჩავიტანე. ხვიმირა ჩემის ხელით ამოვწმინდე, იქაურობა დავგავ-დავწმინდე, რომ მტვერი არ მიჰკარებოდა საჩურჩხელე ხორბალს და ჩემის ხელითვე დავაყარე წისქვილს. მანამ ხორბალი ჩამოვიდოდა, წინდით ხელში იქვე, წისქვილის კარებში, ჩავჯექ და ყურს ვუგდებდი სარეკელას, ღარში დაქანებულის წყლის ჭრიალს, წისქვილის ქვის ერთგვარს გრიალს, და იქვე ტომარაზედ მიყრდნობილს, ტკბილად მძინარე გოგიას.

ხორბალი ჩამოვიდა, სიფრთხილით ავკრიფე თეთრს პარკში, თეთრი ფქვილი ჩემისვე ხელით შინ ამოვიტანე, დიდი სათათარე ქვაბები დავაკალვინეთ, ციცხვები დავფხიკეთ, ხონჩები დავარაკრაკეთ, ბადაგის გადასასხმელი ქილა-ხელადები ქვიშით დავხეხეთ და ასე გამზადებულნი მივეგებეთ რთველს პირველს ღვინობისთვეს. იჰ, რა საინტერესოა ეს რთველი! რა სიხარულს და კმაყოფილებას გრძნობს ყოველი ადამიანი! მეტადრე მოზარდი თაობაა ხოლმე გადარეული და თქვენ კი, ჩემო ჭრუკებო, აქ წიგნებში ხართ თავჩაღუნულნი.

რთველი გაჩაღებული იყო. ქალები კალათებში კრეფდნენ ყურძენს, კაცები მოსაკიდებში აგროვებდნენ, მებაღეები საწნეხელისკენ ეზიდებოდნენ. ქალბატონი ვენახის ბოლოში, კაკალქვეშ იჯდა და თეთრს, დამკრახულს ყურძენს საჩურჩხელედ არჩევდა. საჩურჩხელე ცალკე ნავში დავწურეთ და მარნიდან პირდაპირ დიდის ქვაბებით ზედადგარზედ შემოვდგით. საღამო ჟამი იყო, თბილი საღამო. მთვარე, ოდნავად ბურუსში გახვეული, მკრთალად ანათებდა სოფელს და ჩვენი სახლის კარ-მიდამოს, რომელიც სათათარავე ტკბილების ქვაბების ქვეშიდან აპრიალებული ცეცხლის შუქით იყო გაჩირაღდნებული. აქვე ქვებზედ, კიბეებზედ ვისხედით ჩვენ, ყველანი და ქვაბების ადუღებას ველოდით. კარგა შუაღამე გადავიდა, საგრძნობლად აცივდა, როდესაც დუღილით დანახევრებული ქვაბები ცეცხლიდგან გადმოვდგით და წითლად დარაკრაკებულს ქილა-ხელადებში გადავასხით. მეორე დღეს, ადრიანად მობადაგებული ტკბილი, ქილებში დაწმენდილი, ნელ-ნელა, დიდის სიფრთხილით ისევ ქვაბებში გადავიღეთ, ისევ ცეცხლზედ შემოვდგით, გავაცხელეთ, ბადაგში გალესილი, მომზადებული ფქვილი ჩავასხით და ნიჩბებივით დიდის ციცხვებით ვიწყეთ რევა, ზელვა, თან ცეცხლს გამხმარი სარის შეშას ვუმატებდით. ერთს საათზედ თათარამ მოიწია. ბედს მადლობა მივუძღვენ, რომ კიდევ შემასწრო ამ ბედნიერ დღეს და პირველად, ეს მთელ-მთელლებნიანი, გრძელი ჩურჩხელები ამოვავლე.

„ეს ჩემს მშვენიერს ვანოს, ეს ჩემ გონიერ ლადის, ეს დახატულს ნატოს, ეს დაბრძენებულს კატოს“, – ვამბობდი და ჩურჩხელებს ქალბატონის გამოწვდილი ხელის თითებზედ ვაცმევდი.

ქალბატონი აწოდებდა სარზე წამოსაცმელად ძალუათქვენს, ელისაბედს, ელისაბედი – მართას, მართა – თავისს ქალს ნუშკას, ნუშკა – გოგია მზარეულს, რომელიც გავსებულს სარებს წყნარად, სიფრთხილით, რომ ჩამოკონწიალებული ჩურჩხელები ერთმანეთს არ მიჰკარებოდა, წინადვე მომზადებულ ჯინჯიბახებზედ ჰკიდებდა.

მშვენიერი ბრწყინვალე მზე იდგა, მკათათვესავით ცხელოდა. სწორედ საჩურჩხელე დარი იდგა. ქალბატონი პირზედ ღიმილით ამბობდა: თუ ასეთი დარი დაიჭირა, ერთ კვირაზე ჩურჩხელები ქალაქს გაიგზავნებაო. ხუთასი ჩურჩხელა გავავლეთ, ოცდაათი სარი გამწკრივებული ეკიდა ჯინჯიბახებზედ, ქალბატონს წელი ასტკივდა ქვაბთან დახრითა და დგომით, მე მარჯვენა მიცახცახებდა ციცხვის ქნევით, მაგრამ გათავებას არ ვჩქარობდით. ლხინში ადამიანს ჭირი ყოველთვის ავიწყდება! ჩურჩხელებქვეშ გაყრილ სუფთა ხონჩებზედ მეზობელ გლეხთა გოგო-ბიჭები ჩურჩხელის წინწკლებს გაფაციცებით ლოკავდნენ; ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, სცემდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ, ნამდვილი დღესასწაული იყო...

მზე მიილულა და ქვაბების ძირებიც გამოჩნდა. ჩურჩხელებს მოვრჩით და ახლა გასქელებული თათარის დარიგებას მოვუნდით. ყველა მეზობელს, მოსამსახურეს, მუშებს თეფშებზედ თითო ციცხვი დავუგლისე. სამხრობა გადასული იყო, როდესაც დიდი ხნით მოკეცილი, ჯდომით დაბუხული ძლივსღა ამაყენეს, ქალბატონი, წელში გაწყვეტილი ფეხზე დგომით, ძლივსღა ავიდა აივანზედ. მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ მთელი დღე ნაყრი არ ჩასულა ჩვენს პირში და სადილის სამზადისს შეუდგა. ჯერ მუხლებში წყალი არ ჩაგვდგომოდა, ლუკმა ყელს არ ჩაგვცდენოდა, რომ ქარმა წამოისისინა, ჩურჩხელებმა რხევა დაიწყეს.

– არიქათ, არიქათ, მიეშველეთ ჩურჩხელებს, – დაგვიკიჟინა ქალბატონმა.

– ქარი სულ ძირს დასცემს და ამდენი ხნის ამაგს მტვერში ამოგვივლებს. საჩქაროდ გავცვივდით, დიდი და პატარა სარების აკრეფას შევუდექით. ნელ-ნელა ამოგვქონდა კიბეზედ და სასტუმრო ოთახში, ორი მაგიდის შუა ვკიდებდით. მერე შემშრალი ჩურჩხელები სარის შუა წელზედ შევაგროვეთ და, როცა ხუთასი ჩურჩხელა ერთს ალაგს შევაგროვეთ, ქალბატონმა დიდი ჯამით ბადაგი შემოიტანა და იატაკზედ დაჩოქილმა, თითო-თითოს, ცალ-ცალკე, ორივ ხელით ბადაგი ჩამოუსვა.

მერე თეთრი სუფრა შემოახვია ჩურჩხელის გროვას, სუფრას ზემოდგან დიდი, თბილი შალი, და ასე შეფუთნული ჩურჩხელები კარდაკეტილში დავტოვეთ.

– სიფრთხილეს თავი არა სტკივა, სულმა არავის წასძლიოს, – სთქვა ქალბატონმა: – ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს თვითონვე შესჭამდაო, ნათქვამია. მესამე დღეს, დილით, სუფრა შემოვხსენით და თეთრად შეშაქრული ჩურჩხელები კვალვ გავწი-გამოვწიეთ სარებზედ და ჯინჯიბახებზედ გავიტანეთ. ასე შეგვქონდა და გაგვქონდა მთელი ერთი კვირა. ქარი, ღრუბელი გულს გვიხეთქავდა და ყოველს წამს თავს დავტრიალებდით. მერვე დღეს, სარებს დავაძრეთ ჩურჩხელები, ქალბატონმა თავდებები დააჭრა, ჩურჩხელები გაანაწილა და საოჯახო ნაწილი იმ დიდს წითელს სკივრში ჩააალაგა, რომელსაც თქვენ ყველანი კარგად იცნობთ და, რომელიც ნოეს კიდობანივით ყოველთვის სავსეა თქვენთვის ტკბილეულის სასუსნავით. თქვენთვის გადაწყობილი კი ცალ-ცალკე, თეთრ პარკებში ამოკერა და აი, ჩემი ხელით გაახლათ. მიირთვით და შეექეცით, კეთილად შეგარგოთ, მრავალს რთველს და მოსავლის შეკრებას შეგასწროთ, სწავლა მალე დაგასრულებინოთ და პირადად თქვენ თვითონ შეგაძლებინოთ ამ მძიმე, მაგრამ ქართულის ოჯახის სამხიარულო და სახალისო საქმის გაწყობა, სოფელი არ დაგავიწყოთ და მისი საქმე და ჩვეულება გულში ჩაგინერგოთ!..

... ასე გაგვახარა ჩვენმა გამდელმა, ბებერმა თინამ, თეთრი, დაშაქრული ჩურჩხელებით – ცალკე და ჩურჩხელების მძიმე სამზადისის მოთხრობით – ცალკე.

ყავა სამსახურში სიკვდილისგან გვიცავს

ასეთ დასკვნას ჩინელი სწავლულები აკეთებენ. კვლევებისას, რომელიც ათ წელიწადს გრძელდებოდა, ისინი 10 000 მოხალისეს აკვირდებოდნენ. გაირკვა, რომ ოფისის მუშაკები, რომლებიც დღეში 2-3 ფინჯან ყავას მიირთმევდნენ, ნაკლებად კვდებოდნენ გულის დაავადების, დიაბეტისა და სიმსივნისგან. აღმოჩნდა, რომ ამ ღვთაებრივ და მატონიზირებელ სასმელს „ძლიერი ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი“ აქვს, რომელიც ჯანმრთელობის მიმართ ყველა საფრთხეს ანეიტრალებს.

ანუკ ემე გარდაიცვალა

გასული საუკუნის 60-იანი წლების პოპულარული ფრანგი კინოვარსკვლავი ანუკ ემე, რომელიც ყველას, ალბათ, უფრო „ქალი და მამაკაციდან“ ახსოვს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა, მანუელა პაპატაკისმა გაავრცელა. საყოველთაო აღიარება ემემ, ახალგაზრდა კინორეჟისორის, კლოდ ლელუშის ფილმის შემდეგ მოიპოვა, სადაც იგი ჟან-ლუი ტრენტინიანთან ერთად მონაწილეობდა. სურათმა 40-ზე მეტი ჯილდო მიიღო, მათ შორის, ორი „ოსკარი“ და კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტო“. იმ დროს ანუკ ემე ევროპაში უკვე კარგად ცნობილი მსახიობი იყო, ფელინის „ტკბილი ცხოვრებისა“ და „8 ½“-ის, ასევე ჟაკ დემის „ლოლას“ და ჟაკ ბეკერის „მონპარნასი, 19“-ის წყალობით.

კინოვარსკვლავი პარიზში, 1932 წელს დაიბადა და მას ნიკოლ ფრანსუაზ ფლორანს დრეიფუსი ერქვა. 14 წლისამ ითამაშა ფილმში „სახლი ზღვის პირას“, სადაც ანუკ მის გმირს ერქვა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, ფსევდონიმად ეს სახელი აეღო. მოგვიანებით, სცენარისტმა ჟაკ პრევერმა შესთავაზა, გვარად ემე („საყვარელი“) აეღო. ასე გახდა ის ყველასთვის საყვარელი მსახიობი – ანუკ ემე. ის ოთხჯერ იყო გათხოვილი, თუმცა ბოლოს, ქმარს 1978 წელს დაშორდა. ბოლო ფილმი, რომელშიც ემემ მიიღო მონაწილეობა, შარლოტა დე ტიურკგრეიმის „დიდი – ანუ ლამაზი“ იყო, რომელიც ეკრანებზე 2012 წელს გამოვიდა.

რესტორნები ყვითელ ბარათებს შემოიღებენ

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, ხმაურიანი მომხმარებლებისთვის რესტორნები ყვითელ ბარათებს აამოქმედებენ. ფეხბურთის წესების მსგავსად, ასეთი ბარათები მათ გასაფრთხილებლად იქნება, რომლებიც დაწესებულებაში შეუფერებლად იქცევიან და არღვევენ საზოგადოებაში მოქცევის წესებს. თუ ამ გაფრთხილებამ შედეგი არ მოიტანა, წესების დამრღვევებს დაატოვებინებენ რესტორანს. ყვითელი ბარათის გაცემაზე გადაწყვეტილებას მენეჯერი იღებს. ოფიციანტებს ან ადმინისტრატორს შეუძლია, საჩივრით მიმართოს მას, კლიენტის უწესო ან შეურაცხმყოფელი საქციელის გამო. გამაფრთხილებელი ბარათი ასეთი კლიენტის მაგიდაზე აღმოჩნდება. ამ გადაწყვეტილებით, რესტორატორები ცდილობენ, უსაფრთხო გარემო შექმნან საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების თანამშრომელთათვის.

ლუდის ნარკოტიკებით ჩანაცვლებას ურჩევენ

გერმანიის ქალაქ გელზენკირხენის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა, შტეფან კნიპმა განაცხადა, რომ ალკოჰოლი ადამიანს აგრესიულს ხდის, „მარიხუანას“ მოწევა კი მის სიმშვიდეს განაპირობებსო. ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, ადგილობრივი წესრიგის დამცველები ლოიალურები იქნებიან იმ გულშემატკივრების მიმართ, რომლებიც ალკოჰოლის ნაცვლად კანაფს მოიხმარენ. „თუ ჩვენ დავინახავთ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც ლუდს მიირთმევენ და შედარებით აგრესიულად იქცევიან და სხვა ჯგუფს, რომლებიც „მარიხუანას“ ეწევიან, ჩვენ, რასაკვირველია, მათ მივაქცევთ ყურადღებას, რომლებიც სვამენ“, – აცხადებენ პოლიციელები. აღსანიშნავია ისიც, რომ 1 აპრილიდან, გერმანიაში მოქმედებს კანონი, რომელიც ნაწილობრივ ლეგალურს ხდის „მარიხუანას“ მოწევას – ის აკრძალულ ნივთიერებათა ჩამონათვალში აღარ არის. ამიტომ, ზრდასრულებს კანონიერად შეუძლიათ მოიყვანონ და მოიხმარონ გარკვეული რაოდენობის კანაფი.

გიგანტური „სნექების“ მაღაზია გახსნეს

თუ ვერ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება სხვადსხვა სასუსნავის გარეშე, რომელებიც უამრავ კალორიას, ნახშირწყლებსა და ცხიმებს შეიცავენ, მაშინ ეს დაწესებულება სწორედ თქვენთვისაა. ქალაქ ჩანშაში გახსნილ მაღაზიაში, ეგრეთ წოდებული, სნექები გიგანტური შეფუთვებით იყიდება. ზოგერთი მათგანის ზომები მართლაც შთამბეჭდავია, მათ ფონზე, ადამიანები სასაცილოდ პატარებად გამოიყურებიან. ასეთი უზარმაზარი შეფუთვების ერთადერთი მინუსი ის არის, რომ მათი ხელით სახლში წაღება წარმოუდგენელია – საკმაოდ მძიმე და მოუხერხებელია. თუმცა, შემდეგ უკვე შეგიძლიათ, შესანიშნავად გაატაროთ დრო ტელევიზორის წინ ჩიფსების, ორცხობილებისა თუ კანფეტების მთებთან ერთად. მთავარია, ასეთი დღესასწაულები ხშირად არ მოიწყოთ.

„მესამე თვალი“ სმარტფონებში თავჩარგულებისთვის

სამხრეთკორეელმა დიზაინერმა, 28 წლის მინ-ვუკ პენგმა „მესამე თვალი“ შექმნა. ეს რობოტიზებული მოწყობილობაა მათთვის, რომლებიც სმარტფონიდან თავს არ წევენ. დევაისი შუბლზე მაგრდება და მომხმარებელს ეხმარება, სხვა ადამიანებთან ან ობიექტებთან შეჯახებას აარიდოს თავი. მექანიკური თვალი აქტიურდება, „აღებს“ ხელოვნურ, გამჭვირვალე ქუთუთოს ყოველ ჯერზე, როცა ადამიანი თავს ჩაღუნავს ტელეფიონში ჩასახედად. როცა მომხმარებელი რამე ზღუდეს ერთ-ორ მეტრზე უახლოვდება, მოწყობილობა ხმოვან სიგნალს გამოსცემს და მას პოტენციურ საფრთხეზე აფრთხილებს. მოწყობილობის შექმნაზე ავტორს სულ ექვსი კვირა დასჭირდა. ის სეულის ქუჩებში უკვე გამოსცადეს. როდის მოხდება დევაისის სერიული გამოშვება, ჯერჯერობით, უცნობია.

ყველაზე ძვირადღირებული კომპანია დაასახელეს

ჩიპების მწარმოებელი ამერიკული კომპანია Nvidia-ს აქციების ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კომპანია გახდა. ფირმის წარმატება, დიდწილად, ხელოვნური ინტელექტის სექტორზე გადართვით არის განპირობებული. როგორც BBC აცხადებს, რამდენიმე დღის წინ, მისი ერთი აქციის ფასი 136 დოლარი იყო, რაც 100-ჯერ მეტია რვა წლის წინანდელ ფასთან შედარებით. ასე რომ, ახლა ეს კომპანია უფრო მეტი ღირს, ვიდრე Microsoft, რომელიც აქამდე ინარჩუნებდა პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული ბრენდის ტიტულს. ამ თვის დასაწყისში, Nvidia-მ Apple-ს გადაუსწრო და ის რეიტინგის მესამე საფეხურზე ჩამოიყვანა. დღეს კომპანიის საბაზრო ღირებულება 3.34 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

ატამი სიბერეს ებრძვის

სწავლულები აცხადებენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ყველაზე ჩვეულებრივი, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ხილიც დაგეხმარებათ. კერძოდ, ასეთ გამაახალგაზრდავებელ ეფექტს ატამი გპირდებათ. მას გადაჭარებების გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ სუპერ-პროდუქტი – არაჩვეულებრივი თვისებების გამო. მკვლევარებმა ადრეც შეისწავლეს სხვადასხვა ხილი იმის გამოსავლენად, რამდენად შეუძლია არა მხოლოდ ადამიანის დანაყრება, არამედ, გაახალგაზრდავებაში დახმარებაც. ცნობილი გახდა, რომ ამ მხრივ ყურადღება ატამს უნდა დავუთმოთ. ეს უგემრიელესი ხილი შეუცვლელია კულინარაიასა და კოსმეტოლოგიაშიც. მედიკოსები გვიმტკიცებენ, რომ სიბერეს ყველაზე უკეთ, სწორედ ატამი ებრძვის. თუ ამ ხილს სწორად გამოვიყენებთ კოსმეტოლოგიაში, უძლიერეს ეფექტს მივიღებთ კანის გაახალგაზრდავების მხრივ. გარდა ამისა, ატამი შეუცვლელია პილინგის დროსაც, ძირითადი კომპონენტის რანგში. ხილი მეტად წვნიანი და საკმარისად ტკბილია, მისი ზეგავლენით, კანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიგლუვესა და სინაზეს. ატმის რბილობი კი გაჯერებულია ნივთოიერებათა კომპლექსით, რომელიც კანს კვებავს და მის ჰიდრობალანსს იცავს. ამის წყალობით, ნაოჭების გაჩენა მაქიმალურად გვიანი ასაკისთვის გადადის. გარდა ამისა, ატამი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იცავს გულის დაავადებებისგან, ეფექტურად ეხმარება ადამიანს დეპრესიული და სტრესული სიტუაციების გადალახვაში. ატმის რეგულარულად მირთმევისას, ტვინიც კი უკეთესად მუშაობს.

წყალქვეშა მებაღეობას მისდევენ

იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ბაღი შექმნა ხმელეთის მცენარეებისთვის. პროექტი, სახელწოდებით – „ნემოს ბაღი“ (Nemo's Garden), Ocean Reef Group-მა, ექსპერიმენტის სახით დაიწყო, სადაც სხვადასხვა სახის მცენარეა წარმოდგენილი, რეჰანიდან მარწყვის ჩათვლით. მკვლევარები იმ შემთხვევისთვის ემზადებიან, თუკი მომავალში, კლიმატური ცვლილებების გამო, იტალიის ზოგიერთი რეგიონი ძალიან მშრალი იქნება სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის. ჰაერით სავსე ექვსი სათბური ლიგურიის სანაპიროსთან, რვა მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მზის ენერგიის დახმარებით, ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, აორთქლილი ზღვის წყალი კი კონდენსირდება სათბურის ჭერის შუშაზე და მას მცენარეების მოსარწყავად იყენებენ. მოწეული მოსავლის მოსაკრეფად წყალში მყვინთავი ჩადის. სპეციალისტები ამბობენ, რომ მაღალი წნევა, რაც წყლის სიღრმეშია, სინამდვილეში, სასარგებლოა მცენარეების სიჯანსაღისა და ზრდისთვის. თანაც, ეს პირობები მოსავალს ინტენსიურ გემოს ანიჭებს. თუკი გავითვალისწინებთ, რა გვალვებია ბოლო წლებში, ჩანს, წყალქვეშა ბაღი ახლო მომავალში პოპულარული გახდება.

თმის ზრდის აღმდგენი მოლეკულა აღმოაჩინეს

სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან სასიგნალო მოლეკულას მიაგნეს, რომელიც თმის ზრდაზეა პასუხისმგებელი და ხელს უწყობს თმის საფარის აღდგენას ცვენის ან ალოპეციის დროს. მკვლევარების მიზანს იმ ზუსტი მექანიზმის გამოვლენა წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც დერმის დვრილების უჯრედები ხელს უწყობს ახალი ფოლიკულის ზრდას. აღმოჩნდა, რომ სასიგნალო მოლეკულა SCUBE3, რომელსაც დვრილის უჯრედები გამოიმუშავებს, იმპულსია თმის ახალი უჯრედების გამოყოფისთვის. მკვლევარების აზრით, ამ მოლეკულის სტიმულაციით შესაძლებელი იქნება თმის ჭარბი ზრდის ფორმირება და მკურნალობის ახალი სქემების შემუშავება ამ სფეროში არსებული პრობლემების მქონე პაციენტებისთვის.

გამაგრილებელი ქსოვილი შექმნეს



სწავლულებმა ჩიკაგოს უნივერსიტეტის მოლეკულური ინჟინერიის სკოლიდან შეიმუშავეს მსუბუქი ქსოვილი, რომელსაც გამაგრილებელი თვიუსებები აქვს. მის გამოყენებას საზაფხულო ტანსაცმლისა და კვების პროდუქტებისთვის განკუთვნილი ჩანთების შესაკერად გეგმავენ. ინოვაციური ქსოვილი სამი ფენისგან შეგება. გარე ფენა საშუალებას აძლევს სითბოს, ატმოსფეროში გამოვიდეს, შუა, რომელიც ვერცხლის ძაფებისგან არის დამზადებული, გარე სითბოს ადამიანის სხეულთან მისვლას ბლოკავს. შიდა ფენა კი კარგი თბოგამტარია – ის სხეულის მიერ გამოყოფილ სითბოს მეორე ფენისკენ ატარებს. ტესტირებებმა აჩვენა, რომ ახალი ქსოვილი მზის სინათლისა და სითბოს 97%-ს ბლოკავს. ის, ასევე, ინარჩუნებს სხეულის დაბალ ტემპერატურას. ბამბის ქსოვილთან შედარებით, ეს ქსოვილი 2.3 გრადუსით ამცირებს ტემპერატურას.

ვაკანსია ძილისგუდებისთვის



აშშ-ში, ნიუ-იორკში არსებული კომპანია Casper, რომელიც მატრასების წარმოებით არის დაკავებული, ვაკანსიას აცხადებს. ის მაღალანაზღაურებად სამსახურს სთავაზობს „პროფესიონალ ძილისგუდებს“. მსურველებმა კომპანიის წარმოებულ პროდუქციაზე უნდა დაიძინონ და ძილის ხარისხსა და მიღებულ შთაბეჭდილებებზე სოციალური ქსელის მომხმარებლებს უნდა მოუთხრონ. ვაკანტური ადგილის დაკავება ნებისმიერ ზრდასრულ მსურველს შეუძლია, რომელიც შესაბამის აპლიკაციას შეავსებს და კომპანიას თვის ბოლომდე გაუგზავნის. Casper მატრასების საკმაოდ პოპულარული კომპანიაა, რომელიც 2014 წელს შეიქმნა.

ჭკვიანი ტატუ დაავადებებს აღმოაჩენს

სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა ჭკვიანი ტატუ შექმნეს, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ შეაგროვებს მონაცემებს. სპეციალისტებმა ელექტრონული მელანი შეიმუშავეს, რომელიც თხევადი მეტალისა და ნახშირბადის ნანომილებისგან შედგება და ფუნქციონირებს, როგორც ბიოელექტროდი. ეს ინოვაციური მოწყობილობა შეიძლება მიუერთდეს აპარატს ელექტროკარდიოგრამის გადასაღებად ან სხვა ბიოსენსორს. ტატუს შეუძლია გადასცეს მონაცემები გულის კუმშვის სიხშირეზე და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე. მათზე დაყრდნობით, მედიკოსებს შეუძლიათ წინასწარ დაადგინონ, რა დაავადება შეიძლება განვითარდეს. სწავლულები ამჟამად ტატუს დახვეწაზე მუშაობენ.

უმოძრაობა ტვინის სტრუქტურას ცვლის



ქრონიკული დაავადებები ცხოვრების მჯდომარე წესის შედეგია. ნეირობიოლოგები ამტკიცებენ, რომ ფიზიკური აქტიურობის არარსებობამ, შესაძლოა, ნერვული უჯრედების ფორმები შეცვალოს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამი თვის განმავლობაში ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი, ფიზიკური დატვირთვის გარეშე, შეიძლება გახდეს ტვინის უჯრედების წანაზარდების ფორმის შეცვლის მიზეზი. ასეთი ცვლილებები იწვევენ არასწორი სიგნალების გადაცემას. მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, ცხოველების ერთ ჯგუფს შეეძლო გადაადგილება, მეორე კი უმოძრაოდ რჩებოდა. სამი თვის შემდეგ, სწავლულებმა თაგვების თავის ტვინის სტრუქტურა გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ცხოველების უჯრედებს წანაზარდები გაუჩნდა, რის გამოც ნერვული უჯრედები ადვილად აღგზნებადი გახდა. ამის გამო, ნერვული უჯრედები ტვინს არასწორ სიგნალებს უგზავნის, ინფორმაციის დამუშავების პროცესი კი ირღვევა. ასევე, ნეირონები უგზავნიან სიგნალებს ნერვულ სისტემასა და გულს, რაც არტერიული წნევის ზრდის მიზეზი ხდება.

ხორცის ანალოგი მატლებისგან მიიღეს

სამხრეთ კორეელმა ქიმიკოსებმა ხორცის ანალოგი შექმნეს შაქრისა და ცილებისგან, რომელიც ფქვილის მატლებისგან ამოიღეს. ამ მწერებით კვებავენ პატარა ცხოველებს. ხორცის ახალი ანალოგი, სუნით და გემოთი, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ნატურალური პროდუქტისგან – შაქრით დამუშავებულმა და მოხალულმა მატლებმა გააძლიერეს ხორცის არომატიც. „ხორცზე ფასების ზრდამ და გლობალურმა დათბობამ იძულებული გაგვხადა, საკვებში მწერების გამოყენებაზე სხაგვარად შეგვეხედა. მათი სხეული ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს: ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებს, მინერალებსა და ცილებს“, – აცხადებენ კორეელი სწავლულები. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი ტექნოლოგია ხორცისა და მისი სოუსების წარმოებას უფრო ეკოლოგიურსა და იაფს გახდის.

მხედველობას ღორის კანის მეშვეობით აღადგენენ

შვედმა სწავლულებმა, ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან, თვალის რქოვანას იმპლანტი ღორის კანისგან შექმნეს. ადამიანისა და ცხოველის კანში რქოვანას ანალოგიური მოლეკულებია. ამიტომ, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ რქოვანას ქსოვილის ხელოვნური შემცვლელი ღორის კანიდან. ამისთვის მათ ტყავის ნაჭრები იაფი, ნარჩენი პროდუქტისგან აიღეს. სპეციალისტებმა კოლაგენის თავისუფალი მოლეკულების სტაბილიზაცია მოახდინეს, რის შედეგადაც მყარი და გამჭვირვალე მასალა მიიღეს, რომელმაც შეიძლება გაუძლოს თვალში იმპლანტაციას. დონორის რქოვანასგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ორი კვირა ინახება, ბიოინჟინრული რქოვანას გამოყენების ვადა ორი წელია. ახალი მეთოდის ტესტირებაში 20 პაციენტი მონაწილეობდა – ირანიდან და ინდოეთიდან. რვაკვირიანი მკურნალობის შედეგად, თავიდან აიცილეს იმპლანტის მოშორება. ოპერაციიდან ორი წლის შემდეგაც, არც ერთ პაციენტში გართულებები არ გამოვლენილა.

სუნამო გახდომის მსურველებისთვის

ფრანგულ პარფიუმერულ ფირმას Robertet, ეკუთვნის მსოფლიოში პირველი სუნამო, რომელიც ადამიანს ჭარბი წონის მოცილებაში დაეხმარება. მას Prends-Moi უწოდეს. ახალი პარფიუმის შემქმნელები აცხადებენ, რომ სასიამოვნო სურნელის მქონე არომატი ისეთ ინგრედიენტებს შეიცავს, რომელიც ადამიანის კანში ენდორფინების წარმოქმნას უწყობს ხელს. ამ ჰორმონების მეშვეობით, ტვინს „სიამოვნების მესიჯი“ გადაეცემა. შედეგად, ადამიანი ხალისიან განწყობაზე დგება, მადა კი უქვეითდება. გასახდომი კომპლექსი კოფეინის, კარნიტონისა და სპირულინას ნაზავია. ის ორ მთავარ ფერმენტს ააქტიურებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ლიპოლიზმის (ჭარბი წონის დაქვეითების) პროცესში. ახალი სუნამო ბერგამოტის, მანდარინისა და გრეიფრუტის არომატების ნაზავია. BIO-EC-ის მიერ 17-დან 70 წლამდე ასაკის ქალებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ 75%-ს შეუმცირდათ ჭამის მოთხოვნილება, 73%-მა ამ სუნამოთი სიამოვნებაც მიიღო. თან არც მისი ფასი აფუჭებს განწყობას – ერთი ფლაკონის ღირებულება, დაახლოებით, 30 გირვანქა სტერლინგია.

სმარტფონებს ჰაერიდან დავმუხტავთ

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულებმა მოწყობილობა შექმნეს, რომელსაც ელექტროენერგიის წარმოება ატმოსფეროდან შეუძლია. ეს მოწყობილობა გარემოს ტემპერატურის ყოველდღიურ რყევებზე რეაგირებს. დღესა და ღამეს შორის 10 გრადუსი ცელსიუსის განსხვავებისას აპარატი 1.3 მილივოლტ ენერგიას და 350 მილივოლტ პოტენციურ ენერგიას გამოიმუშავებს. ეს მარტივი სენსორებისა და საკომუნიკაციო აღჭურვილობის დასამუხტად სავსებით საკმარისია. მოწყობილობის შიგნით, სპილენძისა და ნიკელისგან დაფარული ლითონის ქაფია, რომელსაც სპეციალური ცვილი ემატება. შედეგად, აპარატის ერთი მხარე წარმოქნის სითბოს მაშინ, როდესაც მეორე მხარე აგროვებს მას. სპეციალისტები მოწყობილობის ძალის განვითარებას გეგმავენ, რათა მან სმარტფონების დამუხტვა შეძლოს.

სუპერმარკეტში „ნელი“ სალარო გახსნეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, ფუკუოკას პრეფექტურის ერთ-ერთ სუპერმარკეტში „ძალიან ნელი“ სალარო გახსნეს, სადაც რიგში ჩამდგარ მყიდველებს არსად ეჩქარებათ. ამ სიახლის წყალობით, მაღაზიის გაყიდვები 10%-ით გაიზარდა. იდეის ავტორები აცხადებენ, რომ ადამიანებს ამ სალაროსთან 20 წუთის გატარება შეუძლიათ, ამის გამო, მათ არავინ დააჩქარებს. სალარო თავიდან ხანდაზმულებისა და ორსულებისთვის იყო გამიზნული, თუმცა ის საკმაოდ პოპულარული აღმოჩნდა ყველა მომხმარებელში.

ნაბახუსევს ნაყინით „უმკურნალებენ“

სამხრეთ კორეაში დაიწყო ახალი ნაყინის – Gyeondyo-Bar-ის („გამაგრდი“) გაყიდვა, რომელიც ადამიანს ნაბახუსევიდან გამოსვლაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებლები აზიაში პირველ ადგილზე არიან, ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარებით. არსებული მონაცემებით, ნაბახუსევის საშუალებების გაყიდვები წელიწადში 150 მილიარდ ვონს (დაახლოებით, 126 მილიონი დოლარი) შეადგენს. კორეელები ამტკიცებენ, რომ ეს პირველი ნაყინია მსოფლიოში, რომელიც სპირტიანი სასმელების მოხმარების შედეგების წინააღმდეგ არის სპეციალურად შექმნილი. ამ ცივი, „სამკურნალო“ დესერტის შემადგენლობაში, ეგრეთ წოდებული, კანფეტის ხის ნაყოფი შედის, რომელსაც ტრადიციულად იყენებენ ნაბახუსევზე, ზემოდან კი გრეიფრუტის წვენით არის დაფარული. კიდევ ერთი „უჩვეულო“ ნაყინი, ცოტა ხნის წინ, ისლანდიელებმა მოიფიქრეს, რომელსაც „პანამის ოფშორის“ გემო აქვს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.